ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 2023 №236 (9272) ფასი: 80 თეთრი




მკვლელობა საგარეჯოში – მოკლულის ოჯახი შურისძიებაზე საუბრობს, პოლიცია დამნაშავეს ეძებს

რა კითხვებს აჩენს საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული 5 სახელმწიფო ქონების პრივატიზება




# „მიშას ბრალია ყველაფერი, ის ამღვრევს წყალს!“




მამუკა გამყრელიძე: „ასე დაპირისპირებული ოპოზიცია ვერაფერს იზამს და ხელისუფლებაში ისევ „ოცნებას“ ვიხილავთ“






რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა, ალბათ, კიდევ ერთხელ გაიყოფა“

# „მელია თუ პარტიას შექმნის, ახალი ერთ-პროცენტიანი პარტია იქნება“

ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობამ 8 არჩევნები წააგო, წააგებენ მე-9, მე-10 და მე-11 არჩევნებსაც“







ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ საბჭოს დაემატა 20 წევრი

რუსეთიდან მიგრაცია იზრდება




რა ჰიბრიდულ მეთოდებს იყენებს რუსეთი მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ

ამბები აფხაზეთის ომიდან

„უმამაცესი ტანკისტი ჩურჩულით იხვეწება, თვალებზე სახვევი ამხსენით, სოხუმში ალიონის დანახვა მინდაო“




ეროვნულ ლიგაში ბოლოსწინა, 35-ე ტური გაიმართა, რომელიც უხვგოლიანი გამოდგა. ვნახეთ შვიდგოლიანი, რვაგოლიანი და ცხრაგოლიანი თამაშები...




3 საფრანგეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს

4 მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასი 6-თვიან მაქსიმუმზეა

6 ბაიდენი: ჩვენ არ გავჩერდებით!

6 მოსწავლე გოგონამ პატარა ბიძაშვილი დაღუპვას გადაარჩინა

# „მიშას ბრალია ყველაფერი, ის ამღვრევს წყალს!“

## მამუკა გამყრელიძე: „ასე დაპირისპირებული ოპოზიცია ვერაფერს იზამს და ხელისუფლებაში ისევ „ოცნებას“ ვიხილავთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.



***– ბატონო მამუკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ვხედავთ, როგორი ქილიკით საუბრობს „ქართული ოცნება“ მთავარ ოპოზიციურ პარტიაზე. პოპკორნით საყურებელია, რაც ამ პარტიაში ხდებაო. რა სჭირს ნაცმოძრაობას, რატომ ვერ იაზრებს ამ ყველაფერს? თანაც, საარჩევნო წელი დაიწყო.***

– სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ ასეთი უაზრო ჭიდილით. რისთვის იბრძვიან? ჩიტი ბრდღვნად ღირს თუ არა? თუ უნდათ, უბრალოდ, სავარძლების მიღება რამდენიმე ადამიანს, მაშინ გასაგებია, ამ ბრძოლას აზრი აქვს. თუ შენ გინდა, რომ ხელისუფლება შეცვალო, ან თუნდაც კოალიციური მთავრობის ნაწილში იყო, ამას ასეთი ქმედებით ვერანაირად შეძლებ. უბრალოდ, ხალხი ხმას არ მოგცემს.

***– ანუ ეს ბრძოლა მანდატებისთვის მიდის?***

– რა თქმა უნდა, ეს არის ჩვეულებრივი, ძალიან მერკანტილური დამოკიდებულება პოლიტიკისადმი. იმის მაგივრად, რომ ამ ადამიანებს დიდი მიზანი ამოძრავებდეთ, უნდათ მანდატები, სავარძლები და ასე შემდეგ.

***– ეს ყველაფერი არაფორმალური მართვის ბრალიაო. „ოცნებას“ რომ ედავები ამ ყველაფერს, შენ იგივეს რატომ აკეთებ?***

– „ქართული ოცნება“ რასაც აკეთებს, ამას ვხედავთ და შენ რატომ აყევი? ფაქტობრივად, მის საქმეს აკეთებ. თუ ატყობთ, როგორ გაჩუმდნენ ქოცები, მშვიდად არიან. აღარ უტევენ ნაციონალებს.

***– აწყობთ ასეთი ნაციონალური მოძრაობა?***

– რა თქმა უნდა, აწყობთ. ეს არის მათთვის საუკეთესო სიტუაცია. ნაციონალური მოძრაობა ყოველ დღე კარგავს საკუთარ ამომრჩეველს.

***– ვინ აურია სიტუაცია? სააკაშვილის გააქტიურებამ და მანიფესტის ამბავმა შეცვალა ყველაფერი? რა მოხდა რეალურად?***

– ახლა რასაც ვიტყვი, ვიცი. ამის გამო თვალებს დამთხრიან ზოგიერთები, მაგრამ მიშას ბრალია ყველაფერი, ის ამღვრევს წყალს. ჯერ ერთი, ხალხი ვერ გაერკვა ვის მხარესაა მიშა. ხან მელიას აქებს, ხან ხაბეიშვილს აქებს. ხან იქით არის და ხან აქეთ. ჩამოყალიბდი რა, დალოცვილო. რა საჭიროა ასეთი ჩარევები. თქვი, რომ, მეგობრებო, ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და მორჩი ამით. პარტიის მართვის საკითხებში რომ ერევი, ეს არასწორია. დიდი ხანია უკვე მოცილებული ხარ ამ პარტიის მართვას, შორს ხარ. არ აქვს შეხება და არ იცის რეალური სიტუაცია. რაც უნდა ვილაცები შედიოდნენ და უყვებოდნენ, ის რეალურ სიტუაციას ვერ ხედავს. ვინ ვის ჭამს და ასე შემდეგ. ეს ამბავიც როგორ მიდის მასთან, საკითხავია. ყველა მხარეს სხვაგვარად შეაქვს ინფორმაცია. როცა შენი თვალით არ უყურებ სიტუაციას, ასე შორიდან დასკვნები და გადაწყვეტილებები რთულია. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს, შეიძლება ყველა არასწორი იყოს. სწორედ ამან გამოიწვია ეს განხეთქილება და დაბნეულობა ამომრჩეველში.

***– მელია და მისი გუნდი დროებით ჩუმად არიან, როგორც ჩანს, არ ელოდა, ხაბეიშვილი თუ პირდაპირი ეთერიდან გარიცხავდა პარტიიდან. რამდენად არის პარტია რღვევის საზღვარზე?***

– ძალიან არასერიოზული იყო ყველაფერი, რაც ხაბეიშვილმა გააკეთა. ამხელა პარტიის თავმჯდომარე ხარ, ან შეკრიბე პოლიტსაბჭო, ან შესაბამისი განკარგულება გამოეცით. რა საბავშვო ბაღია? გარიცხული ხარ და მორჩა?! ამით კარგავენ ამომრჩეველს და ვინც რჩება, მათშიც სერიოზულ დაბნეულობას იწვევენ. დღეს ოპოზიციას ისედაც ბევრი პრობლემა აქვს, ფინანსების, იდეების სიმწირეა და ახლა ამ ყველაფერს შიდა დაპირისპირებას უმატებენ. ასე დაპირისპირებული ოპოზიცია ვერაფერს იზამს და ისევ „ოცნებას“ ვიხილავთ ხელისუფლებაში.

***– შუა უნდა შეიკრიბოსო, მოვისმინეთ ასეთი განცხადებებიც. ბევრი ფიქრობს, რომ ამ ყველაფერში პრეზიდენტის როლიც მნიშვნელოვანი იქნება. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ჩემთვის პრეზიდენტოს როლი ამ სიტუაციაში, სიმართლე გითხრათ, ყველაზე გაურკვეველია. ლოგიკურად მას ზედმეტი თავის ტკივილი არ სჭირდება. რატომ უნდა უნდოდეს ისეთი ოპოზიციის ლიდერობა, რომელმაც შეიძლება არაფერი მოიტანოს და მისი იმიჯიც დააზიანოს. ამ დროს მას აქვს იმის შესაძლებლობა, უცხოეთში, ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმდეს და ჰქონდეს, ასე ვთქვათ, მშვიდი და ტკბილი სიბერე. ვერ გეტყვით, მართლა არ ვიცი. შეიძლება ის ახლა აკვირდება სიტუაციას და თუ დაინახავს, რომ ეს მართლაც მომგებიანი იქნება მისთვის და მართლაც შეძლოს ლიდერის როლი ითამაშოს, შესაძლოა, გაყვეს ამ ოპოზიციას. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ამ ოპოზიციის შემხედვარე, ნამდვილად ვერ ვხედავ განსაკუთრებულ პერსპექტივას, რომ მოუგოს „ქართულ ოცნებას“. პირველ რიგში, უფულობის გამო ვერ მოუგებენ. დაინახავს ამას პრეზიდენტი და იტყვის, მე ყველაფერი გავაკეთე, მეგობრებო, და აბა კარგად ბრძანდებოდეთ.



***– „ოცნებამ“ სამუშაო გეგმა დადო 9 პუნქტთან დაკავშირებით, თუმცა, ოპოზიცია აქაც აცხადებს, რომ ხელისუფლებასთან კომისიებში მუშაობას არ აპირებს.***

– მეც მოვისმინე ეს განცხადებები, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას, „ოცნებამ“ ერთხელ უკვე მოგვატყუაო. მე მესმის, რომ სანდო არაა ეს ხელისუფლება და ცდილობს, მაქსიმალურად გადაგაგდოს. თუმცა, ეს სამუშაო ჯგუფები იმისთვის ხომ არ დგება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეიცვალოს ზნე და კარგად მოიქცეს? ეს ხომ დასავლეთისთვის სჭირდებათ. დასავლეთი ითხოვს დიალოგის გახსნას და პოლარიზაციის დასრულებას. ახლა რა საჭიროა ჯიბრი? ამას ხომ უნდა მიხვდნენ, რომ წამგებიანია?! ალოგიკურია ოპოზიციის ქმედებები.

***– ბატონო მამუკა, ვისმენთ კულუარულ ინფორმაციებს, რომ ბიძინა ივანიშვილი, წინასაარჩევნოდ, „ოცნებაში“ ცვლილებებს გეგმავს. აქტიურად საუბრობენ კალაძის გაპრემიერებაზე. რამდენად უშვებთ, რომ ასე იქნება?***

– მე არ მგონია, რომ წინასაარჩევნოდ შეცვალოს. კალაძე რომ გაპრემიერდეს, მაშინ მერის არჩევნები უნდა დაინიშნოს და ეს რაში სჭირდებათ? რატომ აურევენ სიტუაციას? კალაძე საკმაოდ მყარად დგას მერის პოზიციაზე. რაც არ უნდა საცობები იყოს ქუჩაში, მაინც ბევრი ჰყავს კმაყოფილი და მომხრე. ან რატომ გადააყენებს არჩევნების წინ პრემიერს, რომელიც აბსოლუტურად მისაღებია ბიძინა ივანიშვილისათვის. ასევე „ოცნების“ მხარდამჭერებშიც დადებითი იმიჯი აქვს. არ გაუშვებს! ამ ერთ წელში ყველაფერს გააკეთებს „ოცნება“ ამომრჩევლის გულის მოსაგებად, ტყავიდან გამოძვრებიან, აი, ნახავთ. მთელი უბედურება იცით რაშია?!

***– რაშია?***

– ჩვენ რომ ვმსჯელობთ იმაზე, ივანიშვილი ვის გადააყენებს და ვის არა. კაცი რომელიც არსად არ ჩანს, არაფერში არ წერია. კაცმა არ იცის სადაა და ასეთი კაცი მართავს ყველაფერს. გვინიშნავს პრემიერებს და ასე შემდეგ. აი, ესაა სავალალო მდგომარეობა ჩვენი დღევანდელობისა.

***– რამ შეიძლება შეცვალოს და შემოაბრუნოს სიტუაცია ოპოზიციის სასარგებლოდ?***

– რთული იქნება სიტუაციის ასე შემობრუნება. 2012-ში ვერანაირი ძალა ვერ მოუგებდა მიშა სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას, რომ არ გამოჩენილიყო ორი ფაქტორი, ძალიან დიდი ფული ბიძინა ივანიშვილის, ჩვენ ხომ ვიცით რომ სწორედ ამ ფულის გარშემო მოხდა შემოკრება სრულიად ეკლექტური ოპოზიციის. ასეთი გაერთიანება რომ გაიმარჯვებდა არჩევნებში, ამას წყალი არ გაუვიდოდა. მეორე, ეს იყო ზეწოლა ნაციონალურ მოძრაობაზე და პირადად მიხეილ სააკაშვილზე დასავლეთიდან. ისიც ვიცით საიდან, კლინტონმა უთხრა პირდაპირ, რომ უნდა წახვიდე! ახლა ეს ორი ფაქტორი გვაქვს? არ გვაქვს, მსგავსიც კი არ ჩანს. არანაირი შანსიც კი არ ჩანს იმისა, რომ საქართველოში გამოჩნდეს ვილაც, ვისაც მიახლოებით მაინც ექნება იმდენი ფული, რამდენიც ბიძინა ივანიშვილს აქვს. შეიძლება ხაზარაძემ რაღაც თანხები გაიღოს, მაგრამ ეს რას უშველით. წინა არჩევნებშიც დახარჯა დიდი ფული, მაგრამ რაც მიიღო, კი ვნახეთ, 3%-ზე მაღლა ვერ ავიდა. მეორე ვარიანტი ეს არის დასავლეთიდან ზეწოლა, ამ ზეწოლას არ გამოვრიცხავ, აუცილებლად იქნება. შესაძლოა, სანქციებიც იყოს. თუმცა, ყველაფერი მაინც ოპოზიციაზეა. თუ ოპოზიცია არჩევნებში დამარცხდა, თუ ხმა არ მისცა ამომრჩეველმა, დასავლეთის ზეწოლა რას უზამს „ოცნებას“?!

# ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ საბჭოს დაემატა 20 წევრი

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა განცხადებას ავრცელებს:



– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მიხეილ სააკაშვილისა და პარტიის 23 ნოემბრის მანიფესტით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპების დაცვით აქტიურ მუშაობას განაგრძობს.

ჩვენ ვთვლით, რომ ბიძინა ივანიშვილის რუსულ რეჟიმთან დაპირისპირებაში თითოეული ჩვენი თანამებრძოლისა და საქართველოს პატრიოტის მონაწილეობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომელთაც საერთო ფასეულობები და იდეალები აერთიანებთ, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის 23 ნოემბრის მანიფესტითაა გათვალისწინებული.

როგორც ერთობის დოკუმენტშია აღნიშნული, პარტია ღიაა ჯანსაღი, დემოკრატიული პროცესისთვის, რომლის შედეგადაც ჩვენი ძველი თუ ახალი როგორც პოლიტიკური საბჭოს, ისე სხვა მმართველობითი ორგანოების დონეზე, მეტ პასუხისმგებლობას გადაინაწილებენ.

ბოლო კვირებში, მიხეილ სააკაშვილის ჩართულობით, პარტიის მიერ რამდენიმე ათეულ ადამიანთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად პოლიტიკური საბჭოს გაფართოების საკითხი გადაწყდა.

დღევანდელი გადაწყვეტილებით, პარტიის პოლიტიკური საბჭოს ახალი წევრები არიან:

ეკა ნამალაშვილი; გია ჭანტურია; ნიკოლოზ ვაჩეიშვილი; გიგი კუბლაშვილი; სევდია უგრეხელიძე; ნიკა ჭურაძე; მაია ჯავახიშვილი; მერაბ ჯანელიძე; ალექსანდრე კრევო-ასათიანი; ვანო პეტრიაშვილი; ნატალია მჭედლიშვილი; ბესო ქათამაძე; მამუკა ყურაშვილი; იგორ ნარმანია; ალიკა კუპრავა; ლევან ფერაძე; ბაკურ მგელაძე; თემურ ცამციშვილი; ნიკა ობოლაძე; ირაკლი გიორგობიანი.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის 23 ნოემბრის მანიფესტის სულისკვეთებითა და შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული ერთობის დოკუმენტის ხელმოწერის შემთხვევაში, ძველი პოლიტსაბჭოს შემადგენლობაში მყოფი ნებისმიერი წევრისთვის ახალი პოლიტსაბჭოს კარი ღიაა.

# ირაკლი კობახიძე: „ნაცმოძრაობამ 8 არჩევნები წააგო, წააგებენ მე-9, მე-10 და მე-11 არჩევნებსაც“

ირაკლი კობახიძე აცხადებს:



– 2012 წლიდან მოყოლებული გამუდმებით ნაცმოძრაობა, მათ შორის, კოლექტიური ნაცმოძრაობა, საუბრობს იმაზე, რომ იგებენ არჩევნებს, მარცხდება ქართული ოცნება, თუმცა, მათ უკვე 8 არჩევნები წააგეს და აუცილებლად წააგებენ მეცხრე არჩევნებს, მეათე არჩევნებს და გარანტირებულად ასევე მე-11 არჩევნებს.

# აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვართან მიწისძვრა მოხდა

აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვრიდან – 34 კმ-ში მიწისძვრა მოხდა. ბიძგები საქართველოშიც იგრძნობოდა.

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის სიმძლავრე 4,7 მაგნიტუდა იყო.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

## მკვლელობა საგარეჯოში — მოკლულის ოჯახი შურისძიებაზე საუბრობს, პოლიცია დამნაშავეს ეძებს

საგარეჯოს სოფელ თულარში, ყოფილი ცოლის დაჭრისა და მისი ქმრის მკვლელობაში ბრალდებულს პოლიცია ეძებს.

შემთხვევა 29 ნოემბერს გვიან ღამით მოხდა. მოკლულია 36 წლის იაშარ ჯაფაროვი. მისი ოჯახი შურისძიებაზე საუბრობს. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ქალი ქმარს დაახლოებით 6 თვის წინ დაშორდა და ჯაფაროვთან გადავიდა საცხოვრებლად, ამის გამო ყოფილი ქმარი მათ ხშირად ემუქრებოდა.




შემთხვევის დროს სახლში 3 ადამიანი იმყოფებოდა. არსებული ინფორმაციით, კაცმა მძინარე ჯაფაროვს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, ის ადგილზე დაიღუპა, დაჭრილი ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, მისი მდგომარეობა მძიმეა. სახლში იმყოფებოდა ჯაფაროვის დედაც, რომელსაც ფიზიკური დაზიანება არ მიუღია. 35 წლის ქალი, რომელიც ყოფილმა ქმარმა დაჭრა, კლინიკაში რჩება. დუნია მალიევას მდგომარეობა მძიმეა. მომხდარის შესახებ დაჭრილის მამა საუბრობს და ამბობს, რომ მის შვილს ქმართან კონფლიქტი ხშირად ჰქონდა:

— გოგო დიდი ხანია გავათხოვე და გამოიქცა, მერე დაბრუნდა და კიდევ გამოიქცა. 22-ჯერ წავიდა და დაბრუნდა. ვეხვეწე, რომ შვილი გყავს და ამის გამო ნუ გამოიქცევი, დარჩი ქმართან და მაინც არ დარჩა. ბოლოს რომ გამოიქცა, ქმარმა წაიყვანა უკან და გამიხარდა, რომ იქნებ მოგვარდეს არსებული პრობლემა, თუმცა, გოგომ ამაზე უარი თქვა. გაყვა იმ ბიჭს, რომლის სახელიც არ ვიცი, ვინ არის საერთოდ. იმ ბიჭის სახლში მოხდა ეს ამბავი, იქ ესროლაო, ყოფილმა ქმარმა ორივეს. გუშინ ღამე გავიგე ეს უბედურება. არ ვიცი ახლა სად არის ჩემი გოგო გადაყვანილი. ალბათ, ვერ შეეგუა ქმარს, რაღაც უთანხმოება ჰქონდათ ოჯახში და მაგიტომ ვერ ჩერდებოდა იქ. თავისი თავიც და მეც დამღუპა. პატარა ბავშვები ჰყავს. რას ვიზამ ახლა, არ ვიცი, განადგურებულები ვართ. — ამბობს ყოფილი ქმრის მიერ დაჭრილი ქალის მამა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19/109-ე მუხლით დაიწყო.

## საფრანგეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს

საფრანგეთში ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრები დააკავეს — ინფორმაციას Le figaro ავრცელებს და წერს, რომ მათ ბრალად მხოლოდ 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე 36 ძარცვაში მონაწილეობა ედებათ.



5 ქართველი ქვეყნის ჟანდარმერიამ, ჟირონდაში დააკავა. ადგილობრივი პოლიცია კი კრიმინალური დაჯგუფების კვალზე ერთ-ერთი წევრის მანქანით გავიდა.

ეს საქმე დაიწყო კონკრეტული მანქანის შესახებ ცნობიდან, რომელიც დაკავშირებულია ქურდობასთან. სამართლდამცველების თქმით, ხუთ-კაციან ჯგუფს ერთ ღამეში რამდენიმე ქურდობის ჩადენა შეეძლო.

ამოჩენილია მათი ნაძარცვი 250 ერთეული ძვირფასი სამკაულები, კომპიუტერები, ტელეფონები და ტექნიკა.

ამ დროისთვის ხუთი ბრალდებული ქართველი საფრანგეთში, წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, სასამართლო პროცესი ბორდოში 21 დეკემბერს გაიმართება.

# „მელია თუ პარტიას შექმნის, ახალი ერთ-პროცენტიანი პარტია იქნება“

### რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა, ალბათ, კიდევ ერთხელ გაიყოფა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**





***— ბატონო რამაზ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ორპოლუსიანი პოლიტიკური ველი შენარჩუნდება, თუ შეიძლება მესამე ძალის ფორმირება მოხდეს?***

— რეალურად, როდესაც პოლუსებზეა საუბარი, ძალთა თანაფარდობა იგულისხმება, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, თანაფარდი ძალები არასდროს ყოფილან. მაგალითად, ტიპური ორპოლუსიანობაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც ორი თანაფარდი პოლიტიკური ძალა არსებობს. ამიტომაც არის, რომ არჩევნებში ხან ერთი იმარჯვებს და ხან — მეორე. ერთმანეთს ენაცვლებიან.

რაც შეეხება საქართველოს, პოლუსები გვაქვს, მაგრამ ამ პოლუსებს თანაფარდი ძალა არ აქვთ. წვრილ-წვრილი პარტიები რომც გაერთიანდნენ, რამდენად იქნება ის მესამე ცენტრი, მიჭირს ამის თქმა.

რაც შეეხება მეორე პოლუსს — ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც ოპოზიციურ პოლუსზე ყველაზე ძლიერი პარტიაა, ის, რაც დღეს იქ ხდება, საერთოდ ყველანაირ ლოგიკასაა მოკლებული. პარტიის მიზანი საერთოდ დაშლაა?!

***— ეს პროცესები არჩევნებზე რა გავლენას იქონიებს? მეორე ძალის პოზიციას ხომ არ დააკარგვინებს პარტიას?***

— პირველ რიგში, მათივე ამომრჩეველი არ უნდა იყოს მოხიბლული ამ ყველაფრით. ასე თუ გაგრძელდა და ეს გაურკვევლობა კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა, იმდენს იზამენ, რომ გაბრაზებული მათივე ამომრჩეველი საერთოდ არ მივა არჩევნებზე და სახლში დარჩება.

ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ვერანაირად ვერ გახდება „ოცნების“ ამომრჩეველი, მაგრამ ეს ხმები ირიბად ხელისუფლების სასარგებლოდ გადამისამართდება.

***— ნიკა მელია თუ პარტიიდან გავა და ახალ პარტიას შექმნის, ამ ამომრჩეველსაც ხომ არ გაიყოლებს?***

— ეს გამორიცხული არ არის, მაგრამ მე ვსაუბრობ იმაზე, რომ ეს პროცესები კარგს არაფერს უქადის ნაციონალურ მოძრაობას. რაც შეეხება მელიას, თუ პარტიას შექმნის, ეს იქნება კიდევ ერთი ახალი ერთ-პროცენტიანი პარტია. ვინც ნაციონალური მოძრაობა დატოვა და ახალი პარტია შექმნა, ერთპროცენტიან ნიშნულს ვერ გასცდა. ზოგადად, ეს სიტუაცია კარგი არ არის ქვეყნისთვის. ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიცია — ანგარიშგასაწევი ოპოზიცია.

***— ხელისუფლება მუდმივად ფორმაში რომ იყოს, ამაზე საუბრობთ?***

— რა თქმა უნდა!

***— როგორ ფიქრობთ, რეალური ალტერნატივა დარჩენილ დროში შეიძლება შეიქმნას?***

— ეს ძალიან ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, „ქართული ოცნება“ მშვენივრად გრძნობს თავს, ოპოზიცია კი ძალიან მძიმედ გამოიყურება.

***— ნაციონალურ მოძარობაში მიმდინარე მოვლენები მიხეილ სააკაშვილს ალბათ უნდა აღელვებდეს. თუმცა, ის დღემდე ინარჩუნებს სიმშვიდეს, თითქოს არაფერი ხდება. რატომ?***

— ელოდება, რა მოხდება, ვინ გაიმარჯვებს. შემდეგ გამარჯვებულის მხარეს აღმოჩნდება. საერთოდ, ადამიანებს უყვართ გამარჯვებულის მხარეს ყოფნა. დამარცხებულთან არავის უნდა და ეს გასაგებია.

ისე, დღემდე ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ხმას მიხეილ სააკაშვილს აძლევს და სხვას არავის. ეს პარტია დღემდე სააკაშვილზე დგას. ხაბეიშვილი, მელია, კიდევ სხვები მხოლოდ დანამატია. რეალურად გამწევი ძალა სააკაშვილია. სადაც სააკაშვილი იქნება, იქ იქნება მისი ამომრჩეველიც.

მე არ გამოვრიცხვ, რომ სააკაშვილი აქამდე ცდილობს გუნდის გაერთიანებას, მაგრამ ძალიან რთული წარმოსადგენია ამ ყველაფრის მერე, მან ეს შეძლოს. ნაციონალური მოძრაობა, ალბათ, კიდევ ერთხელ გაიყოფა.

***— ელოდებით, რომ ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილს პრემიერობის კანდიდატად დაასახელებს?***

— არა მხოლოდ პრემიერობის, პრეზიდენტობის კანდიდატადაც და მეფედაც დაასახელებენ! პარტიის მესვეურები ყველაფერს იზამენ, ოღონდ პარტიამ ერთგული ამომრჩეველი არ დაკარგოს, მაგრამ რამდენად ირწმუნებს მათი ამომრჩეველი ამ სატყუარას, რთული სათქმელია. ისეთი გულუბრყვილო არ მგონია ეს ხალხი იყოს, რომ არ იცოდნენ, სააკაშვილი ამ ქვეყნის მოქალაქეც კი არ არის. პრემიერი რომ გახდე, ჯერ პარტიამ უნდა გაიმარჯვოს არჩევნებში, მთავრობა უნდა დააკომპლექტოს და შემდეგ წარადგინოს პრემიერობის კანდიდატი. როგორც იტყვიან, ჰორიზონტზეც კი არ ჩანს ამის შანსი.

## თბილისის რაიონული ორგანიზაციების ყოფილი თავმჯდომარეები ხაბეიშვილს გადადგომისკენ მოუწოდებენ

ნაციონალური მოძრაობის თბილისის რაიონული ორგანიზაციების ყოფილი თავმჯდომარეები ლევან ხაბეიშვილს გადადგომისკენ მოუწოდებენ. მათი განცხადებით, პარტიაში აუცილებელია ცვლილებები, რადგან ენმ-ში კრიზისი და ჩიხური მდგომარეობაა.

— ეს ის ცნობილი ოფისია, რომელიც სამწუხაროდ მაისის თვეში დაგვიკეტეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ ჩვენ განსხვავებულად ვფიქრობდით. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დაგვიკეტეს, რომ ნიკა გვარამიას მხარდამჭერ აქციაზე ნიკა მელიასთან ერთად მივედით, მეორე დილით ოფისი დაიკეტა. თუმცა, ოფისს ვინ ჩივის, ჩემ გვერდით დგანან ადამიანები, ეს ზღვაში წვეთია კიდევ იმ ადამიანებისა, რომლებიც, სამწუხაროდ, ახალმა მენეჯმენტმა გარიყა პარტიული სივრციდან, ყველა პოზიციებს ჩამოაცილა. [...] ჩემო მეგობარო ლევან, ამ სკამს ნუ ჩაეჭიდები, არ გიღირს იმად, რომ პარტიის მრავალწლიან ისტორიაში ყველაზე შავი ასოებით შევიდეს შენი მმართველობა, შენი თავმჯდომარეობა, ისევე, როგორც დღევანდელი წარმოდგენილი მენეჯმენტის, ამიტომ მოგიწოდებთ, ლევან, რომ გადადგე დაკავებული თანამდებობიდან, — თქვა ენმ-ის წევრმა, ბესო გაზდელიანმა.

გარდა ამისა, განცხადების ავტორები ითხოვენ გაუქმდეს არსებული პოლიტიკური საბჭო, რადგან ის არალეგიტიმურადაა არჩეული, შეიქმნას თანხმობის საბჭო და უახლოეს პერიოდში ჩატარდეს ყრილობა.

## გიორგი მუმლაძე: „ლევან ხაბეიშვილმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობა“

— მძიმე კრიზისის დასაძლევად აუცილებელია ლევან ხაბეიშვილმა აიღოს პასუხისმგებლობა და დატოვოს თანამდებობა, — აცხადებს ენმ-ის წევრი გიორგი მუმლაძე. მისი თქმით, პარტიის მოქმედმა ხელმძღვანელობამ ვერ გაამართლა მოლოდინი, ვერ შეასრულა დაპირებები და პირიქით, თავმჯდომარის რიტორიკა უფრო ხლეჩს პარტიას. მუმლაძე ხაზს უსვამს ახალი პოლიტსაბჭოს არჩევის აუცილებლობას:

— ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც დავიწყე საუბარი ენმ-ში ცვლილებების აუცილებლობაზე და ამ ცვლილებებს უნდა მოეტანა მიხეილ სააკაშვილის თავისუფლებისთვის ბრძოლის ნაწილში მეტი აქტიურობა და პარტიის რეიტინგის ზრდის კუთხით უნდა ყოფილიყო დადებითი შედეგები. თუმცა ეს ასე არ მოხდა და მე მაქვს პასუხისმგებლობა, მქონდეს ჩემი პოზიცია შექმნილ ვითარებაზე.

სამწუხაროდ, პარტიის დღევანდელი თავმჯდომარის, ლევან ხაბეიშვილის რიტორიკა და ქმედებები არ უწყობს ხელს კონსოლიდაციას და თანამებრძოლებში ერთიანობის განცდას და მე ვფიქრობ, მას უნდა ესმოდეს რამხელა პასუხისმგებლობა აქვს...

ამ შემთხვევაში გამოსავალია, აიღოს პასუხისმგებლობა, დატოვოს თანამდებობა და ამის შემდეგ მოწვეულ იქნას მასშტაბური ყრილობა, სადაც ღიაობის, ჩართულობის, პარიტეტული საწყისების და, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკომპლექტდება ახალი, ბრძოლისუნარიანი ადამიანებით და ეს პოლიტსაბჭოს აირჩევს როგორც სათათბირო ორგანოს ხელმძღვანელს, ისე აღმასრულებელი რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობებს და მთელი 2024 წლის განმავლობაში, სწორედ პოლიტსაბჭო წარმართავს პარტიის საქმიანობას, — თქვა მუმლაძემ.

## კაბუმ საპატიმრო დატოვა

ქალზე ძალადობაში, მუქარასა და ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაში ბრალდებულმა კაბუმ საპატიმრო დატოვა.

ქალზე ძალადობაში, მუქარასა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულმა მსახიობმა, კახა აბუაშვილმა იგივე კაბუმ პენიტენციური დაწესებულება დატოვა. ის მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც 10.000-ლარიანი გირაოს თანხა გადაიხადა. პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსახიობს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.



ცნობისთვის, ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის, მუქარისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დაკავებულ მსახიობს, კახა აბუაშვილს, იგივე კაბუს აღკვეთის ღონისძიების სახით 10.000-ლარიანი საპატიმრო გირაო შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საქართველოს პროკურატურამ მსახიობ კახა აბუაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა) და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა) წარუდგინა.

# რა ჰიბრიდულ მეთოდებს იყენებს რუსეთი მეზობელი სახელმწიფოების წინააღმდეგ

## რუსეთიდან მიგრაცია იზრდება

მარიამ მჭედლიშვილი




საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა რუსეთის მოქალაქეების მოზღვავება. რუსების დიდი ნაკადი მოჰყვა რუსეთის უკრაინაში შეჭრას. ზოგიერთი რუსი ნაწილობრივ მობილიზაციას გამოექცა, ზოგი -- სანქციებს. იქედან გამომდინარე, რომ ომში მობილიზაციის თემა რუსეთში არ ამოწურულა (არ არის გამორიცხული საყოველთაო მობილიზაცია), რუსეთის მეზობელ ქვეყნებს ახალი მიგრაციული ნაკადი და მიგრაციული კრიზისი ემუქრებათ. ეს სხვებზე მეტად ეხება საქართველოს. საქართველოში შემოსვლა რუსეთის მოქალაქეებს უვიზოდ და სხვადასხვანაირი გზით შეუძლიათ. საჰაერო რეისები რუსეთთან ფართოვდება. ისინი მხოლოდ ლარსის გადმოსასავლელზე აღარ არიან დამოკიდებულნი.

ფინეთს, რომელიც ახალხანს ნატოში შევიდა, რუსეთთან სავიზო რეჟიმი აქვს დაწესებული. ბოლო ხანს გაიზარდა არალეგალი რუსების ნაკადი ფინეთისკენ. რუსეთ-ფინეთის საზღვარზე დიდი არეულობა შეიქმნა. ფინეთის ხელისუფლებამ საზღვარი ჩაკეტა. ფინეთში ამას ყველა მოწონებით შეხვდა. ექსპერტები ასკვნიან, რომ სასაზღვრო ქაოსი კრემლმა ხელოვნურად გამოიწვია.

თემაზე საუბრობს ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ევროპული ცენტრის ექსპერტი, ფინელი **იუსკო სავოლაინენი**, რომელიც წარსულში სასაზღვრო სამსახურში მუშაობდა.

***– დაახლოებით ერთი კვირის წინ ფინეთის საზღვრის სამხრეთი ნაწილი სრულიად ჩაიკეტა. როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– ამ გადაწყვეტილებას კარგად შეხვდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, ისე პოლიტიკური პარტიები. ამ სიტუაციას ყველა აფასებდა, როგორც საშიშს ფინეთის ეროვნული უსაფრთოებისთვის. ვხედავთ, რომ თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება.

***– რუსეთიდან არალეგალი მიგრანტების მოზღვავებას სხვადასხვაგვარად ხსნიან. თქვენ როგორ ხსნით იმას, რომ მაინცდამაინც ნოემბერში გაიზარდა მათი რაოდენობა?***

– რუსეთის სასაზღვრო სამსახურმა ხელი აილო თავისი წესების შესრულებაზე. ადრე ეს სამსახური სასაზღვრო ზონაში უვიზოდ არავის უშვებდა. როგორც კი რუსეთის სასაზღვრო სამსახური ასე მოიქცა, ეს გახდა ფენომენი სოციალური ქსელებისთვის. ჯერ რუსეთში, შემდეგ კი მთელ გლობალურ სამხრეთში გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფინეთის საზღვარი ღიაა. ამან დაგვაფიქრა იმაზე, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შეეცდებოდა, ამით ესარგებლა.

***– გაგაცნობთ თეორიებს, რომლებიც ამ თემაზე ვრცელდებოდა. პირველი თეორიის თანახმად, რუსეთს უნდა საზღვრების ჩაკეტვა ისე, რომ ეს კრემლის ხელით არ გაკეთდეს. ის პროვოცირებას უკეთებს ფინეთს.***

– ეს დაადასტურებდა იმას, რასაც ჩვენ ვამბობთ. რუსეთის მთავრობის პროპაგანდისტული განმარტებით, დასავლეთი ახდენს რუსეთის იზოლირებას, ფინეთი კი რუსეთის მიმართ სულ უფრო მტრული ხდება. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ ჩაიკეტოს საზღვარი მომავალი მობილიზაციის წინ.

***– მეორე თეორიის მიხედვით, ფინეთსა და რუსეთს შორის საზღვარი აღარ არსებობს.***

– საზღვრის შესახებ არსებული ხელშეკრულება მოქმედებს. ის არ შეცვლილა.

***– გაეზარდათ თუ არა პოლიტიკოსებს რეიტინგი იმ ქვეყანასთან საზღვრის ჩაკეტვით, რომელმაც აგრესიული ომი გააჩაღა?***

– ზომები, რომელიც მიიღეს, ფართოდ მხარდაჭერილია პოლიტიკური სპექტრის მიერ. ეს მთავრობის მიერ მეტი პოპულარობის მოსაპოვებელი ხერხი არ ყოფილა. ამ ზომებს ყველა მიესალმება, ვინაიდან ყველა შეშინებულია.

***– არალეგალი მიგრანტების ახლანდელი ნაკადი ფინეთში ჰიბრიდული საფრთხის მაგალითია?***

– რასაკვირველია. ეს სიტუაცია გავლენას ახდენს ფინეთზე და შეიძლება იყოს ჰიბრიდული საფრთხეების პაკეტის ნაწილი. ეს ჰიპოთეტური საუბარია, ვინაიდან არ იცით, რას გეგმავს და აპირებს სხვა მხარე.

ეს აჩვენებს, რომ ჩვენთვის არსებობს პოტენციური საფრთხე, შევეჯახოთ უზარმაზარ მიგრაციულ ნაკადს. უნდა ველოდოთ იმას, რასაც ამბობდა რუსეთის ხელმძღვანელობა. რუსეთის ხელისუფლებას გაცხადებული აქვს, რომ ისინი (რუსები) აწარმოებენ ომს დასავლეთის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ მათ უნდათ დაინახონ მღელვარება დემოკრატიული ქვეყნების შიგნით და შეამცირონ ერთმანეთის მიმართ (დასავლეთის სახელმწიფოებში) ნდობა და მხარდაჭერა. ჩვენ, ტრანსატლანტიკური კავშირის ქვეყნებმა, უნდა შევინარჩუნოთ ერთიანობა. რასაკვირველია, რუსეთი ეცდება ჩვენი სტრუქტურების შერყევას და ზემოქმედებას ჩვენს საზოგადოებრივ აზრზე.

# მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასი 6-თვიან მაქსიმუმზეა

ოქროს ფასმა უნციაზე 2.048 დოლარს გადააჭარბა და 6-თვიან მაქსიმუმს მიაღწია.

ბოლო მონაცემებით, ერთთვიან ჭრილში ფასი 3%-ით, 6 თვეში 4.3%-ით, ერთ წელში კი, 15.2%-ით გაიზარდა. როგორც Financial Times-ი წერს, ძვირფასი ლითონის ღირებულების მუდმივი ზრდა გამოწვეულია აშშ დოლარის შესუსტებით ინვესტორების ნდობის გაზრდის გამო, რომ ფედერალურმა რეზერვმა დაასრულა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ციკლი.



„ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, რა ღირს ოქრო საქართველოში.

– ფასი ცხადია, მომატებულია. დღეს და გუშინ არ დაწყებულა ეს. ბოლო თვეები სულ ძვირდება და ყველა ახალი პარტია მომატებული ფასით შემოდის. რა თქმა უნდა, მყიდველზეც აისახება ეს და მოთხოვნაზეც, მაგრამ ჩვენზე არაა დამოკიდებული. 170 ლარზე ნაკლებად ფიზიკურად ვერ გაყიდი" – ამბობენ ოქროს ბირჟაზე.

ფასის მატებას ადასტურებს ოქროს ცენტრალურ ბირჟაზე კიდევ ერთი მოვაჭრე, ეთერ კუკულავა.

– ზუსტად ვერ გეტყვით რამდენით, მაგრამ ფასები გაზრდილია. დღეის მდგომარეობით, ბოლო თვეში ფასი 3%-ზე მეტით არ გაზრდილა, მაგრამ წელს, ნელნელა სულ იზრდება, – განაცხადა მან „ბიზნესპრესნიუსთან".

ბირჟაზე კიდევ ერთი მსხვილი მოვაჭრე ნინო ჩიხელაძე „ბიზნესპრესნიუსთან" ამბობს, რომ ფასების მატება ბირჟაზე განსაკუთრებულად ბოლო დღეებში აისახა.

– ბოლო დღეებში ნამდვილად უფრო მეტად აისახა ჩვენთან მსოფლიო ბირჟებზე ფასის მატება. კერძოდ, უკანასკნელი მონაცემებით, 585 სინჯის ოქროს ფასი 120 ლარია, ე.წ. წმინდა ოქროს 999 სინჯი კი 180 ლარიდან იწყება. ვგულისხმობ ნედლ პროდუქტს და არა გადამუშავებულ ნაკეთობებს, – განაცხადა ჩიხელაძემ.

შეგახსენებთ, წინა წელთან შედარებით, ოქროს საერთაშორისო ფასი მნიშვნელოვნად გაზრდილია, 2022 წლის განმავლობაში ის ძირითადად 1.800 დოლარის ფარგლებში მერყეობდა, თუ არ ჩავთვლით გასული წლის დასაწყისს, როცა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების გამო, გარკვეული პერიოდი, ოქროს ფასი 2.000 დოლარს გადასცდა. ბოლო წლების მაქსიმუმი კი პანდემიის პერიოდში დაფიქსირდა, როდესაც 2020 წელს, 1 უნცია ოქროს ღირებულება 1.400 დოლარიდან 2.400 დოლარამდე გაიზარდა.

# „ძირითადი საკვები პროდუქტების ფასები, სავარაუდოდ, ზრდას განაგრძობს"

2023 წლის ნოემბერში ერთი სტანდარტული იმერული ხაჭაპურის მომზადების საშუალო ღირებულება გაიზარდა და 6.47 ლარი შეადგინა. ამის შესახებ „აისეტის" კვლევითი ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.



მათივე ცნობით, თვიურ ჭრილში (2023 წლის ოქტომბერთან შედარებით) ხაჭაპურის ინდექსი 5.5%-ით გაიზარდა, თუმცა, წლიურად (2022 წლის ნოემბერთან შედარებით) 6.9%-ით შემცირდა.

– წლის ამ პერიოდში ინდექსის ზრდა ჩვეული მოვლენაა, რასაც, მეტწილად, რძისა და რძის პროდუქტების ფასების ზრდა განაპირობებს. ამის მიზეზი ნედლი რძის მიწოდების სეზონური შემცირებაა, რაც ზრდის მოთხოვნას იმპორტირებულ რძის ფხვნილზე.

ნოემბერში, ოქტომბერთან შედარებით, ფასები გაიზარდა ხაჭაპურის ყველა ინგრედიენტზე. ყველაზე მნიშვნელოვნად შეიცვალა ყველის ფასი (+8.3%), რომელსაც მოყვება შემდეგი ინგრედიენტები: საფუარი (+5.9%), კარაქი (+3.5%), რძე (+2.6%), ფქვილი (+0.4%) და კვერცხი (+0.3%).

ალსანიშნავია ისიც, რომ ერთი სტანდარტული იმერული ხაჭაპურის მომზადება ყველაზე ძვირი ქუთაისში (6.66 ლარი), ყველაზე იაფი კი ბათუმში (6.39 ლარი) ჯდება. მეტიც, ნოემბერში ყველის ფასი ყველაზე მეტად ქუთაისსა (+14.3%) და თელავში (+12.7%) გაიზარდა, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ყველის ფასი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიზრდება.

სავარაუდოდ, ძირითადი საკვები პროდუქტების ფასები ზრდას განაგრძობს მოახლოებული სადღესასწაულო პერიოდით გამოწვეული მოთხოვნის ზრდის გამო, რასაც ემატება ზამთრის სეზონური დეფიციტი მიწოდების მხარეს," – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ეკონომიკა

# რა კითხვებს აჩენს საქართველოს მთავრობის მიერ დაანონსებული 5 სახელმწიფო ქონების პრივატიზება

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 ნოემბრის სხდომაზე განსახილველი 9 საკითხიდან, 5 სახელმწიფო ქონების პრივატიზებას შეეხებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ინფორმაციით, მათგან 4 გარკვეულ კითხვებს აჩენს. კერძოდ:

**1. ანონიმური პრივატიზება**

განსახილველ საკითხებს შორის იყო პრივატიზების გადაწყვეტილება, რომლის შესახებ არაფერია ცნობილი: არც საპრივატიზებო ქონების აღწერა, არც ქონების მიმღები პირის ვინაობა და არც პირობები.

**2. შპს „დილომი ჰესი"**

20 ნოემბერს საქართველოს მთავრობის განკარგულებით, შპს „დილომი ჰესს" აღნაგობის უფლებით გადაეცა სახელმწიფო ქონება, რომლის აღწერა და პრივატიზების პირობები უცნობია. შპს „დილომი ჰესის" მეწილე და დირექტორი ტარიელ გიორგაძე ქართული ოცნების მსხვილი შემომწირველია – მან პარტიას 60.000 ლარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ შესწირა.

**3. ფიზიკური პირი ვალერიან ნარიმანიძე**

20 ნოემბერს მთავრობამ გადაწყვიტა, გაატაროს გარკვეული ღონისძიებები ფიზიკურ პირ ვალერიან ნარიმანიძის საქმიანობის ხელშესაწყობად. უცნობია, რა ღონისძიებები იგულისხმება, რადგან შესაბამისი განკარგულება არ გამოქვეყნებულა. თუმცა, როგორც წესი, ასეთი განკარგულებები გულისხმობს დაკისრებული ვალდებულებების არშესრულების პატიებას, ანდა გადახედვას.




ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ მთავრობის 2019 წლის განკარგულებით, ვალერიან ნარიმანიძეს წლიური 5.050 ლარის სანაცვლოდ 25 წლით იჯარით გადაეცა 1.467 კვ.მ მიწის ნაკვეთი დუშეთის მუნიციპალიტეტში, სადაც საპრივატიზაციო პირობად 2 წლის განმავლობაში 500.000 ლარის ინვესტიციის განხორციელება და ტურისტული ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა იყო ჩადებული.

შესაბამისი განკარგულების გასაჯაროება აუცილებელია, რათა გავიგოთ რა იგულისხმება საქმიანობის ხელშეწყობაში და პატიობს თუ არა სახელმწიფო რაიმე შეუსრულებელ ვალდებულებას ვალერიან ნარიმანიძეს.

**4. შპს „რეზო კვარაცხელია"**

მთავრობის გადაწყვეტილებით, გადაიხედება შპს „რეზო კვარაცხელიას" მიმართ არსებული პრივატიზების პირობები, თუმცა, დეტალები უცნობი რჩება. შპს „რეზო კვარაცხელიას" სახელმწიფო ქონება – 50.000 კვ.მ მიწის ნაკვეთი – ჯერ კიდევ 2012 წელს გადაეცა. 2018 წელს ქონება კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნდა, 2023 წლის 20 ნოემბერს კი მთავრობამ გადაწყვიტა კომპანიას გარკვეული, საზოგადოებისთვის უცნობი, შეღავათი შესთავაზოს.

– ყოველ ორშაბათს საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს, რა სახელმწიფო ქონება გადასცეს პირდაპირი პრივატიზაციის წესით ამა თუ იმ კომპანიას ან ფიზიკურ პირს, ან როგორ შეუმსუბუქოს სახელმწიფო ქონების შეღავათიანი პირობებით მიღებისას წარსულში აღებული ვალდებულებები. შედეგად, მიღებული განკარგულებები უკვე მესამე წელია არ ქვეყნდება, რის გამოც უცნობია, ვის რა ქონება რა პირობებით გადაეცემა ან ვის როგორ შეუმსუბუქდა საინვესტიციო პირობა. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია კორუფციის მაღალი რისკის მატარებელია, რის გამოც ამ სფეროში გამჭვირვალობის არარსებობა დაუშვებელია, – აცხადებენ TI-ში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მოუწოდებს მთავრობის ადმინისტრაციას, იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და უარი თქვას მთავრობის განკარგულებებისა და პრემიერ-მინისტრის ბრძანებების დამალვის უკანონო პრაქტიკაზე.

# „უმამაცესი ტანკისტი ჩურჩულით იხვეწება, თვალებზე სახვევი ამხსენით, სოხუმში ალიონის დანახვა მინდაო“

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან. იგი კვლავ სოხუმის დაკარგვის ბოლო ტრაგიკულ დღეებს იხსენებს.

**დოდო გუშეშაშვილი:**

– აგუძერას საავადმყოფოდან ისევ ქუჩაში გამოვრბივარ. ვხედავ, ყველა მხრიდან ტარაკნების ლაშქარივით მოედინება მოყიყინე ბრბო, ყველა ერთნაირად უსახო (ეროვნებისდა მიუხედავად), ერთმანეთის მსგავსნი, თვალების ნაცვლად ლორწოს ბურთები აქვთ, ხელში იარალი უჭირავთ. პირუტყვული ალტკინებით, რუსული სისხლიანი ჩექმით გლეჯენ და თელავენ რუსეთ-საქართველოს ომში დაცემული სოხუმის მიწას.

***– თქვენი მონაცემებით, როგორ ხდებოდა სოხუმის დაცემის დღეებში იქიდან დაჭრილების გამოყვანა?***

– ბარჟებით გამოჰყავდათ ბიჭებს დაცხრილული, დალუპულ-დაჭრილი თანამებრძოლები. 27 სექტემბერს, როცა მე და ჩემი რაზმი გავეშებულ, პროფესიონალ, რუს ჯარისკაცებს სადგურში ვებრძოდით, ავთო ჯორბენაძის თხოვნით, ამირან შარმანაშვილი და რამდენიმე მხედრიონელი დილის 8 საათზე, სისხლისფერი სოხუმის პორტთან მიმდგარ ბოლო ბარჟაზე ფრთხილად აწვენენ სამშობლოსთვის დალვენთილ 40 ბიჭს და 200-ზე მეტ მძიმედ დაჭრილ თანამებრძოლს. დამწვარი, თითქმის ნახშირის გროვად გადაქცეული, უმამაცესი ტანკისტი ჩურჩულით იხვეწება, თვალებზე სახვევი ამხსენით, სოხუმში ალიონის დანახვა მინდაო. თვალებიც დამწვარი აქვს ტანკისტს, უკუნეთ სიბნელესაც ველარ ხედავს, სახვევის ბრალი ჰგონია.

გზაშივე ილუპება ერთიანად დამწვარი ტანკისტი. ვერ აისრულა დანახშირებულმა მამაცმა ბიჭმა ბოლო წადილი, ველარ ნახა აისი სოხუმში დამწვარი თვალების ფოსოებით, ღრმად გულდაწყვეტილმა ამოიგმინა მხოლოდ, საკუთარ დამწვრობაზე მეტად სოხუმის ტკივილით გათანგულმა. თვალს არ აცილებენ ბარჟიდან სოხუმს ბიჭები, ახლა უზარმაზარ მანათობელ ჰორიზონს რომ ჰგავს. აღარც პორტი ჩანს, აღარც ნაპირი, კაშკაშა ჰორიზონტი კი არ პატარავდება, უფრო დიდდება. ასე სანუკვრად კაშკაშებს დღესაც სოხუმი, გოროზი სიამაყით გვიზიდავს თავისკენ. არადა, ერთი ხელის გაწვდენაზეა მხოლოდ.

რუსებით პირამდე სავსე კატარღა გაეკიდა ბარჟას. განუწყვეტელი სროლებით აიძულებენ, რომ გაჩერდეს. იარაღი მოითხოვეს რუსებმა დაჭრილებისგან. კბილების და საკუთარი ძვლების ხრჭიალით წამოიმართნენ დაფლეთილ-დასისხლიანებული ბიჭები ირალით ხელში. საჯიშე ულაყებივით ბრდღვინავენ, ცეცხლს აფრქვევენ თვალებიდან. ქანდარაზე არეკილი ქათმებივით უბრუნდებიან კატარღას კბილებამდე შეიარაღებული, მაგრამ ქართველი ვაჟკაცების გამეხებული მზერით განიარაღებული გადამთიელები. დუჟმორეული მიყვებიან შორიახლოს ბარჟას კატარღის ბინადარნი სროლით, ვითომცდა ფსიქოლოგიურად ტვირთავენ ბიჭებს, თავს იმხნევებენ თავად. დალუპული ტანკისტის, სისხლის, მტვრის, ჭუჭყიანი სახვევის, შიმშილის, წყურვილის, ტკივილის სუნი დგას ბარჟაზე. ფოთში შედის ბარჟა. ცისტერნით წყალი, მანქანით პური, გულით სიყვარული დაახვედრეს ფოთელებმა დაჭრილებს. ამირან შარმანაშვილი თბილისში უკავშირდება კერვალიშვილის (თენგიზ სიგუას მოადგილე, ვიცე-პრემიერი) თანაშემწეს, გოდერძი კაპანაძეს, ორ „იაკს“ (იაკოვლევის კონსტრუქციის თვითმფრინავებს) ითხოვს მძიმედ დაჭრილებისთვის.

თბილისიდან „იაკის“ ჩამოფრენამდე, დალუპულების და დაჭრილების ნაწილი სანიტარული მატარებლით გამოუშვეს თბილისისკენ. მოწინებით შეიყვანეს მატარებელში ფოთელებმა დაცხრილული და დაჩეხილი ბიჭები. ჭალადიდში გააჩერეს ზვიადისტებმა მატარებელი, ვაგონებიდან ძირს გადმოყარეს ბიჭები, დაუნდობლად სცემეს, იარაღი გაიტაცეს, მატარებელშივე შეყარეს დაჩეჩქვილ-დალლავებული დაჭრილები. განსაკუთრებული სისასტიკე ხაშურის ბატალიონის ბიჭების მიმართ გამოიჩინეს.

სოხუმში გამარჯვების „ზალპს“ უშვებენ. ველურებივით როკავენ, ჭყივიან, პირველყოფილი მაიმუნებივით დაშხუილებენ ქალაქის ქუჩებს. მჭიდებს აცლიან აქა-იქ მიმოფანტულ, ისედაც საცერივით დაცხრილულ ბიჭებს. ვცდილობ, სოხუმის ქუჩებში სისხლის გუბეებს ავერიდო. ბოტასების ძირზე სისხლის ბლანტი მასა სიარულისას უცნაურად კრიჭინებს. საშინლად მაღიზიანებს ეს კრიჭინი. სტვენა რომ ვიცოდე, ხმამაღალი სტვენით ავარიდებდი სმენას „ზალპს“ და საკუთარი ნაბიჯების ხმას. ხმამაღლა ვიწყებ თვლას, ასე მივყვები საკუთარ ფეხებს. ხმაურიანი სიჩუმე მზარავს. ნელ-ნელა ბინდი გვეპარება ზურგიდან. მივაბიჯებთ მხრებჩამოტეხილები. იმედი მაქვს, ჯაბა იოსელიანი ახლა ისევ გეგმავს ოპერაციას. ვცდილობ, გამოვიცნო ეს გეგმა. ფიქრი მიშლის თვლაში. არ ვიცი, ახლა რომელი სჯობს. ისევ ფიქრს ვარჩევ, რომ ბიჭების ყურთასმენა დავასვენო.

„ახლა რომ ხელში ჩაუვარდე ამათ, როგორ გაგატყავებენ მწიფე ლელვივით“, – ნირწამხდარი ხუმრობით მეუბნებიან ბიჭები. „თუ ჩავვარდით და საკუთარი შუბლის განგრევა ვერ მოვასწარით, ერთმანეთს უნდა ვესროლოთ, ბოლომ კი საკუთარ თავს“, – ვეუბნები ბიჭებს. ისინიც ამ აზრზე არიან.



***– შევარდნაძე სად იმყოფება ამ დროს?***

– ბოლო საათებამდე სოხუმში, მერე კი გულრიფშში, სახელდახელოდ შექმნილ შტაბში. ყველანი ჯაბა იოსელიანს ელოდებიან, რომელიც ჯერ არაა სოხუმიდან გადმოსული. დალამებისას კელასურს მიუახლოვდა იოსელიანი. ცარიელია იქაურობა, არც ჩასაფრებაა, არც პოსტი. გულრიფშის შტაბში გვიან ღამით მისული ჯაბა იოსელიანი სასწრაფოდ ყველა შენაერთის მეთაურების შეკრებას ითხოვს, რომ სამომავლო გეგმა ერთობლივად შემუშავდეს. ვიდრე მეთაურები შეიკრიბებიან, ლამპით განათებულ ერთ-ერთ ოთახში კონფიდენციალური თათბირია იმის შესახებ, თუ რით გაიყვანონ შევარდნაძე: გემით, თვითმფრინავით, თუ ვეტმფრენით.

ჯაბა იოსელიანი მეთურების მოსვლამდე შევარდნაძეს, მის უახლოეს გარემოცვას (2-3 ადამიანს) გეგმას აცნობს: მოხდეს არსებული ძალებით გამაგრება. იმედოვნებს, რომ გია ვაშაკიძე უკვე შემოუერთდებათ 200 მხედრიონელით, რომ შესაძლებელია ოჩამჩირიდანაც იყვნენ უკვე წამოსულები მეომრები ტექნიკით, რომელთაც გასიგრძეგანებული ექნებათ მდგომარეობის და ლალატის მთელი სიმძიმე და არ დაემორჩილებიან ზვიადისტებს. შევარდნაძე იოსელიანს შტაბის შეკრებაზე მიყვება. იოსელიანი ითხოვს კელასურის ხიდის გამაგრებას, ბალმარანის გზის გადაკეტვას, რომ რუსებმა შემოვლით არ მოახდინონ მერხეულში გამოსვლა. საჭიროა, ბეტონის ფილებისთვის ამწე იშოვონ, ფილებით გადაიკეტოს ხიდი, ამაღამვე გაითხაროს სანგრები. გენო ადამია, გია ყარყარაშვილი და სხვები ეთანხმებიან იოსელიანს. ღამითვე ლაგდება ფილები, მაგრამ საკვირველია, რომ პოსტი არაა. აეროპორტში მიყავს დაცვას და უახლოეს გარემოცვას შევარდნაძე. გამთენიისას თვითმფრინავის ხმა ისმის.

***– თქვენი მეგობრების ერთი რაზმი ამ დროისთვის ოჩამჩირეშია. რა ხდება იქ?***

– ოჩამჩირე სავსეა სამხედრო შენაერთებით, ადგილობრივი მებრძოლებით; კიტოვანიც ჩასულია, ყურაშვილიც, ზვიადისტების რაზმებიც, გამოუცდელი მებრძოლებიც. საბრძოლო მასალის დიდი რაოდენობაა, არტილერიის, ტანკების, საბრძოლო ტექნიკის.

როცა ახალდაბაში რუსებმა დესანტი გადასხეს (რუსები, სეპარატისტი აფხაზები და სომხები, ჩრდილო კავკასიელი კონფედერატები), შუაზე გაწყვიტეს ოჩამჩირე-სოხუმის გზა, კიდევ ერთხელ დაარღვიეს ხელშეკრულება. შეუტიეს სოხუმს.

როცა დარწმუნდა გია ვაშაკიძე, რომ ოჩამჩირიდან გზის გახსნა და სოხუმის ალყის გარღვევა არ იყო ყველა შენაერთის მეთაურის მთავარი მიზანი და უფრო მეტიც, ხელსაც შეუშლიდნენ მაშველის შემოსვლას სოხუმში, ოჩამჩირის შტაბიდან გაცოფებული გამოვიდა და 200 კაცთან ერთად, ჭუბურხინჯელ მხედრიონელებს ემშვიდობება და ზვიადისტებს რომ ზურგში არ დაერტყათ, ქუთაისი-ლენტეხი-ჭუბერიდალის ხეობით სოხუმის ზურგში გამოსვლის მარშრუტით მოდის. ვაშაკიძე თავისი ჯგუფით აპირებდა კოდორის მისადგომების გარღვევას, მაგრამ ახალ კინდღთან გააფთრებულ ბრძოლაში ჩართულს, ოჩამჩირიდან არავინ წამოეშველა.

ოჩამჩირიდან რამდენიმე ასეული მებრძოლი ტანკებით, ტყვიამფრქვევებით, ყუმბარმტყორცნებით, ავტომატებით შეიარაღებულები, ცენტრალური გზით გადის სოხუმის მიმართულებით. ზღვის სანაპირო ზოლზე ზვიადისტები არიან, ტამიშის „გაის ტეკთან“, ანუარხოს მხრიდან, პირველ წინააღმდეგობას აწყდებიან სხვადასხვა შენაერთის ბიჭები. სნაიპერებმა კოლონა შეაფერხეს. ისედაც მოგვიანებით გამოსული კოლონა დაგვიანდა. დაიკარგა ერთი დღე. მეორე დღეს განაგრძეს გზა, დაახლოებით 5 კილომეტრში ისევ ფერხდებიან. პატარ-პატარა ბრძოლებით ჩაალწიეს 19 სექტემბერს კინდღამდე. 20 სექტემბერს კინდღში ოჩამჩირის ხაზის მთელი ძალების მობილიზაცია მოხდა. ჯერ კიდევ წინა დღეებში, ჭუბურხინჯელი ბიჭები ოჩამჩირის შტაბში ითხოვდნენ, რომ ტყვარჩელის მიმართულებით მყოფი გამოცდილი მეომრები მოეხსნათ პოზიციებიდან, მათ ნაცვლად ძირითადად გამოუცდელები ჩაეყენებინათ, პოზიციებიდან გამოთავისუფლებული ბიჭები სოხუმის გზის გასახსნელად, სხვა მეომრებთან ერთად წაეყვანათ. ეს წინადადება ყურად არ იღეს შტაბში.

20 სექტემბერს, სამთავრობო ჯარები კინდღში იკრიბებიან. გუჯარ ყურაშვილი ცდილობს ჯარი, ტექნიკა, არტილერია ცენტრალური სამხედრო გზით ახალდაბისკენ გაიყვანოს, ზვიადისტები არც თვითონ აწარმოებენ ბრძოლას, არც მაშველს ატარებენ.

**მედიცინა**

## ჭრილობას, დაჟეჟილობას, მოტეხილობას შეიძლება სახლის პირობებშიც ვუშველოთ

### მოტეხილობა

1. თელის ხის ფესვი დავჭრათ წვრილად და მოვხადოთ წვენი. ვადუღოთ, სანამ მასა წებოსავით არ გახდება. მიღებული მასა წავისვათ მოტეხილზე და ასე გავიმეოროთ სამჯერ. როცა წამალს წავისვამთ, საჭიროა ჭრილობის შეხვევაც.

2. დარჩეული ნიგოზი გავატაროთ ხორცსაკეპში ან კარგად დავნაყოთ. დავიფინოთ თავის ზეთიანად მოტეხილ ან ნაღრძობ ადგილზე და მაგრად შევიხვიოთ. კარგი საშუალებაა.



### მოტეხილი ადგილის ტკივილები

თეთრი შაბი დავფქვათ კარგად და 1 ჩაის კოვზი ავურიოთ 1 ცალ კვერცხის ცილაში. ავთქვიფოთ, წავუსვათ ნაჭერზე და გავაჩეროთ 4-5 საათი. როცა მოვიხსნით, შემდეგ 1 ცალ კვერცხის გულს შევურევთ 1 ან 1,5 ჩაის კოვზ პურის ფქვილს, ავთქვეფთ, წავუსვამთ ნაჭერზე და დავიდებთ მტკივნეულ ადგილზე. შევიხვევთ კარგად და გავაჩერებთ მთელ ღამეს.

### დაჟეჟილობა

კუნთების დაჟეჟილობის დროს დაიდეთ ჯერ ყინული 10-15 წუთი, შემდეგ დაიზილეთ ქაფურის სპირტით.

ნატკენი, დაჟეჟილი, ნაღრძობი და შესიებული ადგილების მოსარჩენად კარგია ღამლამობით თანაბარი რაოდენობის არყისა და მზესუმზირას ზეთის კომპრესი.

სხეულზე სისხლჩაქცევები თუ გაქვთ აიღეთ გიორგელას (ქათმისკუჭა) ოთხი ახალამოღებული ფესვი. კარგად გარეცხეთ, ჩაუშვით 1 ლიტრ ადუღებულ წყალში და ადუღეთ 20 წუთი. ღრმა სისხლჩაქცევების დროს დალიეთ თითო ჭიქა 20 წუთში ერთხელ, სანამ არ გათავდება; ხოლო შედარებით ზერელე სისხლჩაქცევების დროს მოიბანეთ ეს ადგილები თბილი ხსნარით, შემდეგ დაიფარეთ ხსნარში გაჟღენთილი ტამპონით და შეიხვიეთ. პროცედურა გაიმეორეთ დღეში 3-ჯერ.

### ჭრილობა რომ სწრაფად შეხორცდეს

1. გაჭერით ალოე შუაზე და ნახევარი დაადეთ ჭრილობას. 5-6 საათში ჭრილობა შეხორცებას დაიწყებს.

2. მთაში ჭრილობას სპირტისა და ჭინჭრის ნაყენის კომპრესს ადებენ, რომელიც ასეა დამზადებული: გაავსეთ ჭინჭრით ლიტრიანი ქილა, ზემოდან დაასხით სპირტი, შემდეგ კი მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და დადგით მზეზე 2 კვირის განმავლობაში. მზის სხივების ზემოქმედებით ნაყენი იძენს სასურველ თვისებებს (შეიძლება ნაყენი წინასწარ მოამზადოთ და შეინახოთ გრილ ადგილას).

### თუ ჭრილობა ჩირქოვანი, ნამსხვრევიანია

1. ავიღოთ 100 გრამი თხის მუცლის ქონი (გამდნარი), 100 გრამი ძროხის ქონი (გამდნარი) და 400 გრამი ალოე – ხორცსაკეპში გატარებული. ეს მასა კარგად ავურიოთ, გავხადოთ მალამოსავით და წავისვათ მტკივნეულ ადგილზე. თან გადავიფაროთ დოლბანდი. ასე გავიმეოროთ რამდენჯერმე.

2. გახეხილი სტაფილო გამოიყენება ჩირქოვან წყლულებსა და ჭრილობებზე დასაფენად.

3. მინდვრის შვიტას ნახარში გამოიყენება კომპრესებად: 1 სუფრის კოვზ ხმელ ბალახს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ვადუღოთ 30 წუთი ნელ ცეცხლზე, შემდეგ გავწუროთ.

### დაჩირქებული იარა

3 სუფრის კოვზ ალოეს წვენში შევურიოთ 2 სუფრის კოვზი დაფქვილი (გაცრილი) საკმეველი, დავუმატოთ 4 გრამი დანაყილი, გაცრილი ბროწეულის ყვავილი და ავურიოთ კარგად. მასა გახდება მალამოსავით და წავუსვათ დაჩირქებულ იარას.

ჭრილობასა და იარას სწრაფად მოიშუშებთ, თუკი შემდეგი შემადგენლობის საცხს წაისვამთ: 100 გრამი ზეითუნის ზეთი, 20 გრამი ფიჭვის ფისი (კანიფოლი), 8 გრამი ყვითელი ცვილი, 1 გრამი საკმეველი, 1 სუფრის კოვზი კარაქი. ყველაფერი ერთად წამოადუღეთ და განუწყვეტლივ ურიეთ 10 წუთის განმავლობაში, ქაფი მოხადეთ. დარჩენილი ნაყენი გადაასხით ქილაში. მასა დაადეთ ნაჭერზე და დაიფინეთ იარაზე.

### კანის სოკოვანი დაავადება

დავიბანოთ ფეხი, მტკივნეული ადგილი გავიწმინდოთ იოდით. ღამით, ძილის წინ, წინდებში ჩავყაროთ ბორის მჟავა.

ანწლის ძირი დავჩეჩქოთ, წვენი გამოვადინოთ და ეს წვენი გამოვიყენოთ კომპრესებისთვის; ან კიდევ: დაჩეჩქვილი ძირები დავიდოთ მტკივნეულ ადგილზე. გავიმეოროთ რამდენჯერმე.

ბევრს აწუხებს ფრჩხილების სხვადასხვა დაავადება, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია სოკოვანი დაავადებებით. გირჩევთ, ყოველდღიურად დაილბოთ ფრჩხილები და გაიკეთოთ ცხელი (რასაც გაუძლებთ) სოდიანი აბაზანები, ხოლო ფრჩხილები მაქსიმალურად დაიჭრათ; შემდეგ კი დაისხათ ოჯახში დაყენებული ნატურალური ღვინის ძმარი. ეს პროცედურა ჩაიტარეთ 14 დღის განმავლობაში.



## ბაიდენი: ჩვენ არ გავჩერდებით!

აშშ-ის პრეზიდენტმა, ბაიდენმა განაცხადა, რომ ჰამასმა უკლებლივ ყველა მძევალი უნდა გაათავისუფლოს.

– ჩვენ არ გავჩერდებით მანამ, სანამ ყველა მძევალს არ გამოუშვებენ! – თქვა ბაიდენმა.

## ბორელი უკრაინისადმი უსაფრთხოების გარანტიების შესახებ




ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელმა ბორელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი მზადაა, უკრაინას უსაფრთხოების გარანტიები მისცეს.

– კონკრეტულ წინადადებებს მომავალ კვირაში წარმოვადგენთ, – თქვა ბორელმა.

## ზელენსკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია



უკრაინის პრეზიდენტმა ზელენკიმ მთავარბანაკის სხდომა მოიწვია. მას დაესწრნენ; თავად ზელენსკი, პრემიერი შმიგალი, გენშტაბის წარმოადგენები, თავდაცვის მინისტრი უმეროვი, ფრონტების სარდლები. განხილულ იქნა საკითხები: 1) ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა; 2) რუსული დაბომბვები და მათ წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.

სხდომაზე ხაზი გაუსვეს იმას, რომ ფრონტებზე შექმნილი ვითარება დამაკმაყოფილებელია. ითქვა, რომ მუშავდება ღონისძიებები რუსული დაბომბვების ასალაგმავად. შედგა საუბარი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის სრულყოფაზე, აგრეთვე რუსეთის ტერიტორიაზე საპასუხო დარტყმების ორგანიზებაზე.

## დაბომბვები გრძელდება



ავდეევკისა და კუპიანსკის აღების პუტინის გეგმები ჩაიშალა. საეჭვოა, რომ რუსებმა შეძლონ ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირიდან უკრაინული არმიის განდევნა. რუსეთმაც დაბომბვები გააძლიერა.

დაიბომბა ქალაქები: კევი, ოდესა, ნიკოლაევი, ხერსონი, სუმი, ხმელნიცკი, კამენეც-პოდოლსკი, ლვოვი. შედეგად დანგრეულია სახლები. უკრაინელები მტერს ვალში არ დარჩნენ. განხორციელდა დარტყმები კურსკზე, ბელგოროზე, დონის როსტოვზე, კრასნოდარზე, ვოლგოგრადზე, სმოლენსკზე. განადგურებულია რუსეთის არმიის ყაზარმები და სამხედრო ქარხნები. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი



## მოსწავლე გოგონამ პატარა ბიძაშვილი დაღუპვას გადაარჩინა

ამერიკის კალიფორნიის შტატში 15 წლის მოსწავლე გოგონამ ბიძაშვილი, სკოლაში ნასწავლი პირველადი დახმარების აღმოსაჩენი გაკვეთილების წყალობით, დახრჩობას გადაარჩინა.

23 ნოემბრის დილას სამი წლის მაქსინ ატკინსონი სახლის უკანა ეზოში თამაშობდა, რა დროსაც აუზში ჩავარდა. წყალში პირქვე ჩავარდნილი ბავშვი ოთხი წუთის შემდეგ მისმა ბიძამ აღმოაჩინა და წყლიდან ამოიყვანა. ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი თითქმის აღარ ეტყობოდა.

ბიძამ დასახმარებლად ოჯახის წევრებს უხმო. პირველმა მასთან 15 წლის მედისონ ატკინსონმა მიირბინა და მაშინვე ხელოვნური სუნთქვის პროცედურების ჩატარებას შეუდგა.

– მედისონი გოგონას ორი წუთის განმავლობაში უტარებდა ხელოვნურ სუნთქვას, მან თვალი გაახილა და სუნთქვა დაიწყო, – განაცხადა გოგონას დედამ.

მაქსინი სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი და ახლა უკვე თავს კარგად გრძნობს. ამ შემთხვევის შემდეგ კი ატკინსონების ოჯახის ყველა წევრმა გადაწყვიტა, პირველადი დახმარების აღმოჩენის კურსები გაიაროს, რათა იცოდნენ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ექსტრემალურ სიტუაციაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


## ქალთა ნაკრები წლის ბოლო მატჩებისთვის ემზადება



საქართველოს ქალთა ნაკრები წლის დასკვნითი მატჩებისთვის ემზადება. 1 დეკემბერს, ერთა ლიგის მეხუთე ტურის მატჩს ჩვენი გუნდი თბილისში, ლუქსემბურგის წინააღმდეგ გამართავს, ხოლო 5 დეკემბერს თურქეთს ესტუმრება.

მოახლოებული მატჩებისთვის ჩვენი გუნდი 23 ფეხბურთელით ემზადება. ტრავმის გამო, საქართველოს ნაკრებს ანა ჩემინავა და ლელა ჭიჭინაძე ვერ დაეხმარებიან.

**ირის ანტმანი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– ერთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ლუქსემბურგის წინააღმდეგ სტუმრად ჩატარებული მატჩი ჩვენი გუნდისთვის საუკეთესო იყო. ლიეტუვასთან ბოლო მატჩი კარგად არ ჩაგვიტარებია. მეტოქემ კარგად ითამაშა, ჩვენ კი საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, დაგვაკლდა კონცენტრაცია. დარწმუნებული ვარ, მომდევნო მატჩებში ეს შეიცვლება. ცუდია, რომ მოახლოებულ თამაშებს დანაკლისით ვხვდებით. ტრავმის გამო ჩვენი კაპიტანი, ანა ჩემინავა და ლელა ჭიჭინაძე ვერ დაგვეხმარებიან.

**მარიამ კალანდაძე:**

– გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. ბევრი რამ გვაქვს დასამტკიცებელი. ლუქსემბურგთან მოსაგები გვაქვს და ვფიქრობ, რომ თურქეთთანაც კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ. მოტივირებულები ვართ, შეკრება კარგად მიმდინარეობს და ყველაფერს გავაკეთებთ სასურველი შედეგის მისაღწევად.

**საქართველოს ქალთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარე:** თათია გაბუნია, თეონა სუხაშვილი (ორივე ლანჩხუთი), სვეტლანა გაბელაია (კოლხეთი ხ);

**დაცვა:** მარიამ კალანდაძე, სოფიკო ნარსია, გვანცა ქადაგიშვილი, ნინო ჩხარტიშვილი (ყველა ლანჩხუთი), სალომე გასვიანი, ნათელა წოწერია (ორივე კვარტალი), თამარ ტატუაშვილი (ტრაბზონი, თურქეთი), თამარ ქველიძე (ეტლინგვაიერი, გერმანია), ანა პავლიაშვილი (სამეგრელო);

**ნახევარდაცვა:** ნინო პასიკაშვილი, ნათია დანელია (ორივე კვარტალი), თინათინ ამბალია, ანა წულაია (ორივე ლანჩხუთი), ტატიანა მატვეევა, თეონა ბაქრაძე (ორივე ტრაბზონი, თურქეთი), ნინო ბუხრიკიძე (სამეგრელო);

**თავდასხმა:** ხატია ჭყონია (ბათუმი), მაიკო ბებია (სამეგრელო), ანასტასია ბოლქვაძე (ლანჩხუთი), ლიზი კანკია (კვარტალი).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## შოტლანდიაში სკოლის ეზოში ნაპოვნი ეგვიპტური ქანდაკებების საიდუმლო ამოხსნილია

ისტორიკოსებმა უძველესი ეგვიპტური ქანდაკებების საიდუმლო ამოხსნეს, რომლებიც შოტლანდიაში სკოლის ეზოში მოსწავლემ აღმოაჩინა.

1952 წელს, მოსწავლე ბიჭი, რომელიც ცუდი ყოფაქცევისთვის იყო დასჯილი, სკოლის ეზოში დათესილი კარტოფილის ამოთხრით იყო დაკავებული. თუმცა, მან, კარტოფილის მაგივრად, იქ მიწაში უძველესი ეგვიპტური ქანდაკება ამოთხარა. ის პირველი აღმოჩნდა მათ შორის, რომლებსაც შემდეგ მიაგნეს მელვილ-ჰაუსის ტერიტორიაზე და სადაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სკოლა იყო განთავსებული, ხოლო მანამდე, ომის დროს, იქ ჯარისკაცები იყვნენ დაბანაკებულნი.



ექსპერტები დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ პასუხის გაცემას კითხვაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ისტორიული არტეფაქტები ფაიფის საგრაფოში. შოტლანდიელი ისტორიკოსები ამ საკითხით სერიოზულად 1984 წლიდან დაინტერესდნენ, მას შემდეგ, რაც მოზარდების ჯგუფმა ლითონმაძიებელი ხელსაწყოს დახმარებით ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკება ელისაბედ გორინგს ედინბურგის შოტლანდიის სამეფო მუზეუმის კურატორს მიუტანა. მაშინ გორინგმა გამოარკვია, რომ არტეფაქტებს იქ ჯერ კიდევ 1952 და 1964 წლებში პოულობდნენ. ახლა მკვლევარები ფიქრობენ, რომ ისინი შოტლანდიაში ალექსანდრ ლესლი-მელვილმა, ბალგონის ლორდმა ჩაიტანა, რომელიც ეგვიპტეში 1856 წელს გაემგზავრა და იქიდან დაბრუნებიდან ერთი წლის თავზე გარდაიცვალა.

მას შეეძლო კოლექცია თავისი მოგზაურობის დროს შეეძინა, ვინაიდან მაშინ კონსულები და ანტიკვარები ხშირად ყიდიდნენ უძველეს არტეფაქტებს უცხოელებზე. ლორდის გარდაცვალების შემდეგ მისმა ოჯახმა მის მიერ ჩამოტანილი კოლექცია, სავარაუდოდ, დამხმარე სათავსოში, მიშენებაში გადაიტანა, ხოლო მისი აღების შემდეგ ნივთები აღარ გახსენებიათ.

სულ მელვილ-ჰაუსის შემოგარენში ადრე და გათხრების წარმოების დროს 18 საგანი იქნა ნაპოვნი. არტეფაქტების კოლექციაში შედის თითქმის ოთხი ათასი წლის ქანდაკება, დამზადებული წითელი ქვიშაქვისგან, ასევე რამდენიმე ბრინჯაოსა და კერამიკის ქანდაკება, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდელი 1069 და 30-იანი წლებით თარიღდება.

## 80 წლის ქალს უსახლკარო შეუყვარდა



აშშ-ში ხანდაზმულ ქალს უსახლკარო მამაკაცი შეუყვარდა და ქონების მისთვის დატოვებას აპირებდა.

კალიფორნიის შტატის ქალაქ კაიუკოსის მკვიდრმა 80 წლის პენსიონერმა კეროლინ ჰოლანდმა 57 წლის დევიდ ფოუტომი იმ დროს გაიცნო, როდესაც ის მის სახლში გარკვეულ დამხმარე სამუშაოებს ასრულებდა. საუბარში მამაკაცმა ქალს უთხრა, რომ ადრე ნარკომანი იყო და ნარკოტიკების გაყიდვითაც იყო დაკავებული. მან ასევე აღიარა, რომ ადრე ციხეშიც იჯდა ყუმბარის დამზადებისთვის, რომელიც პოლიციის ინფორმაციით, მაღაზიაში თავდასხმისთვის იყო განკუთვნილი. ჰოლანდთან შეხვედრამდე მამაკაცი უსახლკარო იყო და ღამის გათევა თავშესაფრებში უწევდა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, გაცნობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ქალმა განაცხადა, რომ ფოუტომი შეუყვარდა და ამით საკუთარი ქალიშვილები სიუზენი და სალი გააოგნა.

– მან თავისი მზრუნველობით რაღაც სითბო ჩამისახა. ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს. მომწონს მისი ხასიათი და არ მიყვარს, როდესაც ის სადმე მიდის, – განაცხადა პენსიონერმა.

სიუზეი და სალი კი დარწმუნებული იყვნენ, რომ კეროლინი მამაკაცს იმიტომ დაუახლოვდა, რომ უბრალოდ სურდა, რომ მუდმივად ვინმე ჰყოლოდა გვერდით. მათ ასევე ჩათვალეს, რომ ფოუტომს უბრალოდ სურდა, მისთვის ქონება გამოეტყუებინა. ეს კი მას შემდეგ მოხდა, როდესაც შეტყვეს, რომ მამაკაცმა ქალი დაარწმუნა, თავისი ორი სახლი გაეყიდა.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მათგანი ქალს თავისი შვილიშვილისა და მისი ოჯახისთვის იჯარის წესით ჰქონდა გადაცემული. ხოლო უძრავი ქონების გაყიდვის შემდეგ, ქალი ფოუტომს 600 ათასი დოლარის მიცემას შეჰპირდა, თუმცა, ამის გაკეთება ველარ შეძლო, ვინაიდან მოულოდნელად თავი საავადმყოფოში ამოყო.

კეროლინის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა, რამაც მის ქალიშვილებს უფლება მისცა, თავად განეკარგათ მისი ფინანსები. ექიმების ძალისხმევის მიუხედავად, პენსიონერი ქალის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მთელი მისი ქონება მემკვიდრეობით სიუზენისა და სალის ხელში გადავიდა. შედეგად კი ფოუტონი უფულოდ დარჩა და კვლავაც ქუჩაში ცხოვრობს.

## მამაკაცმა ერთ საათში კილოგრამ-ნახევარი მწარე იხვის კისერი შეჭამა



ჩინეთში მამაკაცმა გადაწყვიტა, იღბალი თავისკენ შეეტრიალებინა და მთელი თავისი ფული თაღლითს მისცა.

2021 წელს ქალაქ შანხაის მკვიდრი გვარად ვანი უზრუნველყოფილი ოჯახის პატრონი და ორი მაღაზიის მფლობელი იყო. შემდეგ კი ერთ-ერთმა მეგობარმა მოუყვა, თუ როგორ დაეხმარა მას განსაკუთრებული ამულეტები ავტოკატასტროფაში გადარჩენაში და გააცნო ვინმე „ოსტატი". მისი მტკიცებით, „ოსტატი" შეძლებდა მისი შერყეული ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ვანი გურუსთან მესენჯერის დახმარებით ურთიერთობდა და მისმა შესაძლებლობებმა გააოგნა: „ოსტატმა" მას მისი პირადი ცხოვრების მრავალი მაგალითი მოუყვა, რომლებიც თითქოსდა მხოლოდ მისი დაბადების დღის თარიღისა და ჰოროსკოპის დახმარებით შეიტყო. ამის შემდეგ ვანმა მისგან ამულეტები შეიძინა და მათში 400 ათასი იუანი გადაუხადა. ასევე გარკვეული რიტუალები შეასრულა. ერთ-ერთი ასეთი რიტუალი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი საათის განმავლობაში ვანს უნდა შეეჭამა კილოგრამ-ნახევარი იხვის მწარე კისერი, ხუთი შეკვრა მზესუმზირის მარცვლები და ხუთი პორცია მწარე ლაფშა. ამასთან, „ოსტატმა" ის გააფრთხილა, რომ თუ რომელიმე მათგანს ვერ შეასრულებდა, იღბალი მას ზურგს შეაქცევდა.

ვანმა ამ ყველაფრის შეჭმა ვერ მოახერხა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მაშინ გურუმ ის ტაილანდში გაგზავნა. იქ ჩინელს უნდა დაეწვა ნათურები და ელოცა, ამასთან ყოველი ლოცვა ფასიანი იყო. ასევე „ოსტატმა" მას ურჩია, რომ უფრო მეტი დრო გაეტარებინა მეგობრის გვერდით, რათა მის „მაგნიტურ ველს" მისთვის იღბლიანობა დაებრუნებინა.

ვანმა 2022 წლის ბოლოს გაყიდა სახლი, მაღაზიები და დიდ ვალში ჩავარდა. არც მისი ჯანმრთელობა გამოსწორებულა და ოჯახიც დაკარგა. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ ის თაღლითების მსხვერპლი გახდა და პოლიციას მიმართა. გამოძიებამ დაადგინა, რომ სინამდვილეში „ოსტატი" თავად მისი მეგობარი იყო. მან ვანს ორ მილიონ იუანზე მეტი გამოსტყუა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ეროვნულ ლიგაში ბოლოსწინა, 35-ე ტური გაიმართა, რომელიც უხვგოლიანი გამოდგა. ვნახეთ შვიდგოლიანი, რვაგოლიანი და ცხრაგოლიანი თამაშები...

## სამტრედია ფლეი აუტში ითამაშებს

**თელავი-საბურთალო 3:0**

**თელავი. კავკასიონი არენა**

1:0 ჯეფინიო (10), 2:0 ბაშელეიშვილი (34), 3:0 აშორტია (72)

**თელავი:** ბოქურდაძე, ვ.ფაცაცია, ცნობილაძე, გუტი, ბაშელეიშვილი, ბეგიჩი (ჟივიძე 74), ქანთარია, გაბიტაშვილი, პარკინაშვილი (ო.გაგნიძე 82), რუხაძე (აშორტია 65), ჯეფინიო (გომთელიანი 74)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, სილაგაძე, ჩადუნელი, ჯგერენაია, კომახიძე (ჯინჯოლავა 65), გვარაძე (გ.მამაგეიშვილი 46), ლ.ნონიკაშვილი, მამასახლისი (შ.ნონიკაშვილი 46), ციცქიშვილი (ც.კაპანაძე 46), ტაბატაძე, სიხარულიძე (სილა 65)

კახეთის გუნდმა 3:0 მოუგო საბურთალოს, რომელსაც საქართველოს დავით ყიფიანის თასის ფინალი ბათუმის დინამოსთან ელის.

ანგარიში ჯეფერსონ ჯერალდომ აკრობატული დარტყმით გახსნა. პირველივე ტაიმში მიხეილ ბაშელეიშვილმა საშუალო მანძილიდან ზუსტად დაარტყა და 2:0.

მეორე ნახევარში კი, იმედა აშორტიამ საჯარიმოს მისადგომებიდან დაბალ კუთხეში ძლიერი დარტყმით გაიტანა. ამ მომენტში ჯერალდოს კარგი ქუსლური პასიც გამოსარჩევია.

თელავი მეშვიდე ადგილზეა, მაგრამ ბოლო ტურში დილასთან სტუმრად მაინც გამარჯვება დასჭირდება, რათა მერვეზე არ ჩაინაცვლოს და ფლეი ოფს ასცდეს. თელავის კონკურენტი გაგრაა, რომელიც შუქურას ხვდება.

თელავმა და გაგრამ თანაბარი ქულები თუ დააგროვეს, მეშვიდეზე გაგრა გავა, რადგან ურთიერთშეხვედრებში კახურ გუნდს ჯობნის.

**სამგურალი-დილა 1:0**

**ანგისა. ჯონი ბაკურიძე**

1:0 ლომინაძე (28პ)

**სამგურალი:** შოვნაძე, კიკაბიძე, მარკოვინა, მაისაშვილი, ბული, ლომინაძე (დარცმელია 60), არტური, ნ.ხორხელი (ა.ვერულიძე 70), ჩიხლაძე (სულაქველიძე 70), კალანდარიშვილი (გომესი 89), ლ.ხორხელი (ლ.ჩიხრაძე 89)

**დილა:** კუჩერენკო, ჩიტეიშვილი, ეტოუ, ზ.თევზაძე, სილვა, სანტოსი, ჟან ვიქტორი (სარდალიშვილი 46), გომისი, ნ.გაგნიძე, გაფრინდაშვილი (ფარულავა 64), კოვტალიუკი

წყალტუბოელებმა ნოდარ ლომინაძის გატანილი პენალტით სძლიეს გორის დილას. სამგურალი მეხუთე ადგილზეა და ჯერ კიდევ აქვს ევროტურნირებზე გასვლის შანსი, მაგრამ საკუთარ თავზე არაა დამოკიდებული. იმერლები ევროტურნირზე იმ შემთხვევაში გავლენ, თუ ბოლო ტურში თავად მოიგებს, პარალელურად, დილა თელავთან წააგებს, პლუს თასის ფინალი ბათუმის დინამომ უნდა მოიგოს.

სამგურალის ამ გამარჯვებამ კი ქუთაისის ტორპედოც გაახარა, რომელმაც დილას გადაუსწრო და მესამე ადგილზე გადავიდა.

**გაგრა-სამტრედია 4:3**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

0:1 მიშოვი (15პ), 0:2 ახვლედიანი (18), 1:2 მამაცაშვილი (21), 2:2 შონგა (33), 2:3 ხაიბულაევი (41), 3:3 ბურჯანაძე (62), 4:3 მუსელიანი (69პ)

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, ბურჯანაძე, ჯანგიძე, კლოდინი (ნემსაძე 58), ჟორდანია, პაპავა (მუსელიანი 46), ზოიძე (ლომთაძე 58), შონია (კაკაშვილი 58), მამაცაშვილი, შონგა (ლ.ნოზაძე 79)

**სამტრედია:** ხარატიშვილი, ი.ახვლედიანი (დ.კირკიტაძე 75), აბულაძე, კილასონია (ბოჭორიშვილი 75), უბილავა, ხმალაძე, პავიშიჩი (ოდიშელიძე 75), თ.ახვლედიანი (ინჯგია 64), ხაიბულაევი (ფირანაშვილი 64), ნაჭყებია, მიშოვი

გაგრა მატჩის უმეტეს დროში აგებდა სამტრედიასთან და საბოლოოდ 4:3 აჯობა. უშუალო კონკურენტების დაპირისპირება იყო, გაგრა მერვეზე გადავიდა, ხოლო სამტრედია მეცხრეზეა და უკვე გარკვეულია, რომ ფლეი ოფი ნამდვილად მოუწევს. თუმცა, ჯერ უცნობია, რომელ გუნდთან.





მე-15 წუთზე ჩრდილომაკედონიელმა ალექსანდარ მიშოვმა პენალტით დააწინაურა სამტრედია. ერთ წუთში გაგრას ფლანგელმა საბა მამაცაშვილმა ძელს მოარტყა ბურთი, ხოლო საპასუხოდ მიშოვმა კონტრშეტევაზე მაგარი პასი გაუკეთა თირნიკე ახვლედიანს, მანაც მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი – 0:2.

გავიდა სამიოდე წუთი და მამაცაშვილმა ამჯერად მაინც გაიტანა, შორიდან დარტყმით... 33-ე წუთზე კი ვასილ ხოსიტაშვილის ჩაწოდებულს მოჰყვა ჯუსტინ შონგას თავური და გაგრამ გაათანაბრა – 2:2.

ტაიმი მაინც სამტრედიამ მოიგო: აბდულა ხაიბულაევმა ჩახვეული დარტყმით შორეულ ცხრიანში გაიტანა.

მეორე ნახევარში კი, გაგრამ თამაში ისევ მოატრიალა. ჯერ შალვა ბურჯანაძემ გაიტანა თავით და 3:3, ხოლო 69-ე წუთზე ზურაბ მუსელიანმა პენალტი გამოიყენა და ეს მატჩში ბოლო გოლი აღმოჩნდა – 4:3.

**ტორპედო-შუქურა 9:0**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 ბულრიძე (28), 2:0 ნინკოვიჩი (33), 3:0 არაბიძე (57), 4:0, 5:0 ნინკოვიჩი (63, 67), 6:0, 7:0 ფანცულაია (71, 77), 8:0, 9:0 იმედაძე (85, 90)

მე-13 წუთზე ბანდომ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**ტორპედო:** კლიაიჩი, ჭიჭინაძე, სანდოხაძე, გოგლიჩიძე, მჭედლიშვილი (ეკონგოლო 68), არაბიძე (იმედაძე 79), გიგაური (პაიდარი 79), შერგელაშვილი (ჩაჩუა 86), ბულრიძე, ქობულაძე, ნინკოვიჩი (ფანცულაია 68)

**შუქურა:** ღლონტი, დ.ბაგრატიონი (ხაბაზი 75), ალ ხატიბი (მესხიძე 75), ცეცხლაძე, კვირკველია, გირითილაძე, აბანდო (კონცელიძე 61), ძირკვაძე, ლორთქიფანიძე (მჟავანაძე 61), ჩაგანავა, რობაქიძე (ხოზრევანიძე 84)

ქუთაისელები მესამე ადგილზე დაბრუნდნენ. ბოლო ტურში ტორპედო ბათუმში დინამოს ხვდება და მესამეზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნის.

საინტერესოა, რომ შუქურასთან ქუთაისელები თავიდან გოლს გადაურჩნენ. საბა გოგლიჩიძემ საკუთარ საჯარიმოში წააქცია მიკელ აბანდო და პენალტი თავად აბანდომ დაარტყა, მაგრამ მეკარე ფილიპ კლიაიჩმა აუღო.

29-ე წუთიდან კი დაიწყო ტორპედომ და ჯამში აუტსაიდერს 9 უპასუხო გოლი გაუტანა. ჰეთ-ტრიქი შეასრულა ნიკოლა ნინკოვიჩმა, დუბლი მიითვალეს გიორგი ფანცულაიამ და დავით იმედაძემ, რომელსაც ეროვნულ ლიგაში დებიუტი ჰქონდა. იმედაძეს 11 წუთი ეყო ორი ბურთის გასატანად.

ასევე ირაკლი ბულრიძემ და გიორგი არაბიძემაც მიითვალეს გოლები. არაბიძე გუნდის ბომბარდირია 13 გოლით.

როგორც იცით, ქობულეთელებმა წინა ტურშიც 0:9 წააგეს სამტრედიასთან...

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 6:2**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 ფლამარიონი (3), 1:1 ხვადაგიანი (8), 2:1 ბეგაშვილი (16სკ), 3:1 მარუშიჩი (19), 4:1 ხარაიშვილი (22), 5:1 სხირტლაძე (34), 5:2 იაკობსენი (36), 6:2 კამარა (67)

**დინამო თბ:** ლორია, მაისურაძე, ხვადაგიანი, კალანდაძე, კობოური, მექვაბიშვილი, ოდიშარია (ბუშნია 72), სხირტლაძე (ბუბუტეიშვილი 81), ხარაიშვილი (ოსიყმაშვილი 81), კამარა, მარუშიჩი (სალია 72)

**დინამო ბთ:** ბეგაშვილი, მამუჩაშვილი, ქაფიანიძე, რეხვიაშვილი (კობახიძე 46), მ.ბაგრატიონი (ფალავა 75), ბიძინაშვილი (ჩაბრაძე 46), მოსიაშვილი, ც.ფაცაცია, იაკობსენი, ფლამარიონი (წიტაიშვილი 61), თ.კაპანაძე

მოქმედი ჩემპიონისა და შარშანდელი ჩემპიონის დაპირისპირებაში 8 გოლი გავიდა. დინამო თბილისმა 6:2 მოუგო დინამო ბათუმს.

არადა, თავიდან ბათუმელებმა გაიტანეს სწრაფი გოლი: ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა ჯოვინო ფლამარიონმა ირაკლი ბიძინაშვილის ლამაზი პასი გამოიყენა. ეს ჯოვინოს მე-17 გოლია.

თუმცა, 26-წუთიან მონაკვეთში თბილისელებმა 5 გოლი გაიტანეს: ჯერ საბა ხვადაგიანმა გაათანაბრა; მერე ბათუმელთა მეკარე გიორგი ბეგაშვილი შეცდა და ავტოგოლი გამოუვიდა; შემდეგ ზორან მარუშიჩმა, გიორგი ხარაიშვილმა და დავით სხირტლაძემაც შესძლეს გატანა... ალსანიშნავია, რომ ლაშა ოდიშარიამ სამი საგოლე პასი გააკეთა.

ტაიმი მაინც ბათუმელთა გოლით დამთავრდა – ალექსანდერ იაკობსენმა შორიდან გაიტანა.

მეორე ნახევარში კი მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა: უსმანე კამარას მე-14 გოლი სეზონში. 16 გოლი აქვს მარუშიჩს და ერთით ჩამორჩება ჯოვინოს...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 35 | 21 | 10 | 4 | 81-39 | 73 |
| 2.დინამო (თბ) | 35 | 20 | 8 | 7 | 90-49 | 68 |
| 3.ტორპედო | 35 | 16 | 11 | 8 | 53-35 | 59 |
| 4.დილა | 35 | 16 | 9 | 10 | 53-38 | 57 |
| 5.სამგურალი | 35 | 15 | 9 | 11 | 50-49 | 54 |
| 6.საბურთალო | 35 | 14 | 9 | 12 | 58-46 | 51 |
| 7.თელავი | 35 | 10 | 7 | 18 | 33-59 | 37 |
| 8.გაგრა | 35 | 9 | 8 | 18 | 38-65 | 35 |
| 9.სამტრედია | 35 | 9 | 6 | 20 | 48-59 | 33 |
| 10.შუქურა | 35 | 4 | 5 | 26 | 38-103 | 11 |

შენიშვნა: შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

# ჩემპიონთა ლიგას ოთხი მერვედფინალისტი დაემატა

ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის პირველი სათამაშო დღე საინტერესო გამოდგა და კიდევ ოთხი მერვედფინალისტი გაირკვა.

**E ჯგუფი**

რომის ლაციომ სელტიკი 2:0 დაამარცხა, ხოლო როტერდამში, ფეიენოორდს ატლეტიკომ აჯობა და ჯგუფში ყველაფერი გაირკვა.

ბოლო ტურში მხოლოდ ის გახდება ცნობილი, თუ ვინ გავა პირველ ადგილზე – მადრიდში, ატლეტიკო ლაციოს დაუხვდება და უპირატესობა ექნება.

ფეიენოორდი ევროპა ლიგაზე გადავა, ხოლო სელტიკი ევროთასების სეზონს ასრულებს.

**F ჯგუფი**

სიკვდილის ჯგუფში მერვედფინალისტი ცნობილია, მაგრამ ბოლო ტურის წინ ინტრიგა მაინც შენარჩუნდა. დორტმუნდმა მილანში მოიგო და ფლეი ოფში გავიდა.

ოლივიე ჟირუმ მე-5 წუთზე პენალტი ვერ გაიტანა, რასაც 5 წუთში ზუსტი პენალტით მარკო როისმა უპასუხა. იტალიელებმა პირველივე ტაიმში კი გაათანაბრეს, მაგრამ მეორე ტაიმი დორტმუნდის იყო – 3:1.

დორტმუნდელები ახლოს იყვნენ ჯგუფში პირველი ადგილიც გაენაღდებინა, მაგრამ პსჟ-მ ნიუკასლთან ბოლო წუთზე გაათანაბრა – კილიან მბაპემ პენალტი გაიტანა.

დორტმუნდს 10 ქულა აქვს, პსჟ-ს – 7 ქულა აქვს, ნიუკასლსა და მილანს 5-5. ბოლო ტურში სამივე გუნდს აქვს შანსი, მაგრამ გააჩნია, როგორც დასრულდება ბოლო ტურის მატჩები.

**G ჯგუფი**

ამ ჯგუფში ყველაფერი მანამდე იყო გადაწყვეტილი. პირველი ადგილისთვის კი, სიტიმ 3:2 დაამარცხა ლაიფციგი. არადა, პირველი ტაიმის მერე გერმანელები 2:0-ს იგებდნენ. მეორე ნახევარში პეპ გვარდიოლას გუნდმა თამაში შეატრიალა და პირველი ადგილი გაინაღდა.

ევროპა ლიგის საგზური იანგ ბოიზმა მოიპოვა, რომელმაც შინ ცრვენა ზვეზდა 2:0 დაამარცხა.

**H ჯგუფი**

თამაში ბარსელონამაც შემოატრიალა. კატალონიელები პორტუსთან აგებდნენ, მაგრამ მერე ორი გოლი გაიტანეს და არამარტო ჯგუფიდან გავიდა, არამედ პირველი ადგილიც გაინაღდა. მეორე ადგილის ბედი ბოლო ტურში გაირკვევა.

შახტარმა ირაკლი აზაროვისა და გიორგი გოჩოლეიშვილის დახმარებით 1:0 სძლია ანტვერპენს. გოლის გატანა აზაროვსაც შეეძლო, მაგრამ ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

ბოლო ტურში პორტუ შახტარს უმასპინძლებს და ქულაც ეყოფა, ხოლო უკრაინელები მოგების შემთხვევაში გავლენ მერვედფინალში. თუ არადა, ევროპა ლიგის საგზურით დაკმაყოფილება მოუწევთ.

## შედეგები

**28 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლაციო-სელტიკი ........ 2:0
ფეიენოორდი-ატლეტიკო ........ 1:3
მილანი-დორტმუნდი ........ 1:3
პსჟ-ნიუკასლი ........ 1:1
სიტი-ლაიფციგი ........ 3:2
იანგ ბოიზი-ცრვენა ზვეზდა ........ 2:0
ბარსელონა-პორტუ ........ 2:1
შახტარი-ანტვერპენი ........ 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი ........ 0:1
ქოვენთრი-პლიმუთი ........ 1:0
ქპრ-სტოკი ........ 4:2
მიდლსბრო-პრესტონი ........ 4:0
ჰალი-როტერჰემი ........ 4:1
უოტფორდი-ნორვიჩი ........ 3:2

**იტალია. სერია B**

ზიუდტიროლი-ბრეშა ........ 1:1
კომო-ლეკო ........ 0:0

**საფრანგეთი. ლიგა 2**

კონკარნო-პო ........ 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სტ.მირენი ........ 1:0

# საქართველო იაპონიაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავა



2-3 დეკემბერს ტოკიოს გრანდ სლემი გაიმართება, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებიც იასპარეზებს. თუმცა, ლაშა გუჯეჯიანის გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებია, რომელიც უფრო დანაკლისად უნდა ჩავთვალოთ.

ტატო გრიგალაშვილის (81) შემდეგ, იაპონიის დედაქალაქში ვერც ლაშა ბექაური (90), ილია სულამანიძე (100) და გურამ თუშიშვილი (+100) ჩავლენ.

მათ ნაცვლად გუნდს გიორგი ბერიაშვილი (100) და ლევან მატიაშვილი (+100) დაემატნენ. სულ ტოკიოში საქართველო 16 ძიუდოისტით (13 კაცი, 3 ქალი) გამოვა.

**კაცები:** ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი (ორივე 60), ვაჟა მარგველაშვილი, თენგო ზირაქაშვილი (ორივე 66), გიორგი ტერაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (ორივე 73), ალექსანდრე ლოლაძე (81), ლუკა მაისურაძე, ლუკა ბაბუციძე (90), ვარლამ ლიპარტელიანი, გიორგი ბერიაშვილი (100), შალვა გურეშიძე, ლევან მატიაშვილი (+100);

**ქალები:** ეთერ ლიპარტელიანი (57), ეთერ ასკილაშვილი (63), სოფიო სომხიშვილი (+78).

ტოკიოში გასამართ გრანდ სლემზე მსოფლიოს 88 ქვეყნის 535 ძიუდოისტია დარეგისტრირებული.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მოძღვრება მელვინეობის შესახებ; 2. საესტრადო სიმღერების შემსრულებელი ქართული დუეტი; 3. სასამართლო განაჩენის გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 12. მოძრავი კიბე; 14. ხმელეთში ღრმად შეჭრილი ზღვის ვიწრო სივრცე; 15. ქსოვილების დამზადების ოსტატი; 17. რაიმეს დამადასტურებელი დოკუმენტი; 20. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო აირი.

**თარაზულად:** 5. რაიმეს გაგების, შესწავლის სურვილი; 6. ქალის სასიმღერო ხმა; 8. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მისული კომპანიების, ბანკების გადარჩენა; 10. შეძენილი ჭკუასუსტობა; 11. მოგონილი, შეთხზული რამ; 13. ტროპიკული ხილი; 16. მოკლელულიანი შაშხანა; 18. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 19. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 21. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი; 22. თურქეთის პრეზიდენტი; 23. სარეკლამო პლაკატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კრახუნა; 2. ბოკაჩო; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ტარანტინო; 8. ჰოლდინგი; 12. ხაჭაპური; 14. ბალატონი; 16. პორტერი; 17. ჟურნალი; 19. დუდა; 20. ვონი.

**თარაზულად:** 5. არლეკინო; 6. აკორდეონი; 9. ნუტრია; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. ვალსი; 15. ჩანახი; 18. მონჟი; 21. ჩოხატაური; 22. ევკომია; 23. დარბაზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუფლიორი; 2. ნალმი; 3. იმბეცილი; 4. ჰენესი; 7. შნეკი; 9. ბელგა; 12. ბრიჯსტოუნი; 14. ქორალი; 15. მეეზოვე; 17. გუანაკო; 20. ოხორი.

**თარაზულად:** 5. კუროსავა; 6. დემბელე; 8. სამსუნი; 10. მოკასინი; 11. ბრუნეი; 13. კაიზერი; 16. ბარიტონი; 18. კურსი; 19. გესლი; 21. სხალთა; 22. ავადჰარა; 23. ტოსკანა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 ნოემბერი

აშშ დოლარი — 2.7129

ევრო — 2.9769

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4408

100 რუსული რუბლი — 3.0503

## ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისათვის






## გიორგი ჩაკვეტაძეს მცირე ტრავმა აქვს

გიორგი ჩაკვეტაძეს ტრავმა აწუხებს და ამ მიზეზით ის ნორვიჩის წინააღმდეგ უოტფორდის განაცხადში ვერ მოხვდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩაკვეტაძეს ტრავმა სერიოზული არ არის და ის მალე დაბრუნდება მოედანზე. წლევანდელ სეზონში ჩაკვეტაძე საკმაოდ ხშირად გამოდის მინდორზე, თუმცა, ის ძირითადად შეცვლებზე შემოდის და მყარი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის.

## ჟოაო კანსელო: „ძალიან ბედნიერი ვარ"



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე პორტო დაამარცხა ანგარიშით 2:1 და ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში გასვლა გაინაღდა. შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელი ჟოაო კანსელო გახდა, რომელმაც გოლი გაიტანა და საგოლე პასის გაკეთება მოახერხა. მატჩის შემდეგ მან თქვა, რომ ის ძალიან ბედნიერია და მომენტით ტკბება:

– მიხარია, რომ გოლი გავიტანე, თუმცა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი გუნდური გამარჯვებაა, რადგან ჩვენ ეს ბარიერი დავძლიეთ და მიხარია, რომ შემდეგ ეტაპზე გადავედით.



## ლუის ენრიკე: „პსჟ გამარჯვებას იმსახურებდა"

პსჟ-მ საკუთარ მოედანზე ნიუკასლი მიიღო და მათი დამარცხება ვერ მოახერხა. უფრო მეტიც, პარიზელები ბოლო წუთამდე აგებდნენ და მხოლოდ პენალტის საშუალებით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება.

მიუხედავად ამისა, ლუის ენრიკე თვლის, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა, რადგან მთელი მატჩის მანძილზე პსჟ უპირატესობას ფლობდა:

– ჩვენ უამრავი მომენტი შევქმენით მეტოქის კართან და მეტოქემ მხოლოდ ერთი შანსი შექმნა, რომელიც მათ გამოიყენეს. გამარჯვებას ვიმსახურებდით, მაგრამ ეს ფეხბურთია და მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იაკობ გოგებაშვილის პრემიის მფლობელები გამოვლენილია



მარჯანიშვილის თეატრში იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა, ვაჟთა გუნდმა „მძლევარი" და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლმა „მართვე".

კონკურსი იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად 14 მარტს გამოცხადდა. კონკურსის მიზანია საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა 14 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით საკონკურსოდ წარადგინეს გასულ წელს წიგნად გამოცემული პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, პიესები – „საუკეთესო საბავშვო დრამატურგია" და პროექტები – „საბავშვო-საყმაწვილო ინოვაციური პროექტი".

კონკურსში 53 ავტორი და გამომცემლობა მონაწილეობდა. ჟიურის მწერალი გურამ პეტრიაშვილი ხელმძღვანელობდა.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულზე პრემიის სახით გაიცა 5.000 ლარი.

შარშან კონკურსში მონაწილეობისთვის მის ორგანიზატორს „შემოქმედებით საქართველოს" 50-მა განმცხადებელმა მიმართა, 2021 წელს – 37-მა. კონკურსი იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად წელს უკვე მესამედ გაიმართა.

## ქართული კინოს მხარდასაჭერად საქართველოს კინოინსტიტუტი დაარსდა




ქართული კინოს მხარდასაჭერად საქართველოს კინოინსტიტუტი შეიქმნა. მისი პრეზენტაცია 30 ნოემბერს კინოთეატრ „ამირანის" მე-4 დარბაზში გაიმართება.

– ბოლო პერიოდში კინოს სფეროში მიმდინარე მოვლენებმა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული კინოინდუსტრია. 500-მდე კინემატოგრაფისტი აპროტესტებს კულტურის სამინისტროს რეპრესიულ პოლიტიკას და უარს ამბობს, მიიღოს მონაწილეობა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსებსა და პროექტებში, თუმცა, სახელმწიფო დაფინანსებაზე უარის თქმა არ ნიშნავს შემოქმედებითი პროცესების შეჩერებასა და შეწყვეტას.

მიმდინარე პროცესებმა კიდევ უფრო გამოკვეთა ქართული კინოს მხარდამჭერი ალტერნატიული წყაროებისა და პლატფორმების გაჩენის საჭიროება.

დღეს, ჩვენ, საერთო ღირებულებების მქონე კინემატოგრაფისტები ვქმნით „საქართველოს კინოინსტიტუტს" იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი ეროვნული კინო, დავიცვათ შემოქმედებითი თავისუფლება, განვავითაროთ ქართული კინოსექტორი, გავაძლიეროთ საერთაშორისო კავშირები, პოპულარიზაცია გავუწიოთ ქართულ კინოს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ხელოვნება ცოცხალი, დამოუკიდებელი და აპოლიტიკურია! – ნათქვამია საქართველოს კინოინსტიტუტის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



## გიორგი კეკელიძე მიხეილ მესხზე წიგნს დაწერს

ხვიჩა კვარაცხელიას შემდეგ, მწერალი გიორგი კეკელიძე მორიგ საფეხბურთო წიგნს ლეგენდარულ მიშა მესხზე დაწერს:

– ჩემი შემდეგი საფეხბურთო წიგნი მიხეილ მესხზე იქნება – საქართველოს საფეხბურთო ლეგენდაზე. მიხარია მისი შთამომავლების ეს შემოთავაზება და ამაყი ვარ. მახარებს, რომ ოჯახმა სწორედ მე ამარჩია ავტორად. ამას წინათ მათთან ვიყავი სტუმრად, ყველა ერთად შეკრებილი დამხვდა, საკუთარი მოგონებებით ადა არქივით, ეს ჩემთვის დიდი კომფორტია. 2025 წლის 12 იანვრისთვის ვგეგმავთ დასრულებას, მიშას დაბადების დღისთვის.

## „ცეკვავენ ვარსკვლავები" იანო ალიბეგაშვილმა დატოვა



„ცეკვავენ ვარსკვლავების" XII სეზონს პირველივე საკონკურსო ტურში ოპერის მომღერალი იანო ალიბეგაშვილი და მისი მეწყვილე გუკა ჭანტურია გამოეთიშნენ.

შოუს დასრულების შემდეგ, პროექტის წამყვანებმა დუტა სხირტლაძემ, ეკა ამირეჯიბმა და მანიკა ასათიანმა გავარდნის კანდიდატები დაასახელეს. იანოსა და გუკასთან ერთად, „ცეკვავენ ვარსკვლავების" მაყურებლისგან ყველაზე ცოტა ხმა ჯაზმინ კარიზმა და ირაკლი ძაძამიამ დააგროვეს.

ერთწუთიანი ხმის მიცემის დასრულების შემდეგ კი შოუს გაგრძელების შანსი ჯაზმინ კარიზისა და ირაკლი ძაძამიას მიეცათ.




## „ჩემი ცოლის დაქალები" 12 წლისაა

პოპულარული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" 12 წლისაა. ამ წლების განმავლობაში მაყურებელმა არაერთი პერსონაჟი გაიცნო და შეიყვარა. ამდენწლიანი ისტორია დაუჯერებელია სერიალში მონაწილე მსახიობებისთვის.

**ანა ტყებუჩავა, ნინას როლის შემსრულებელი:**

– გილოცავთ ყველას „ჩემი ცოლის დაქალების" დაბადების დღეს. გილოცავთ ყველას, ვინც შექმნა ეს სერიალი და ვისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილიც გახდა. ასევე, მაყურებელს ვულოცავ, რომ ამდენი სეზონია ერთგულად მოგვყვებიან და მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სერიალის არსებობა. მიყვარს ის ხალხი, ვისთან ერთადაც დღემდე ამ სერიალს ვაკეთებ, ვარ ბედნიერი და ვთვლი, რომ ძალიან გამიმართლა, რომ ამ სერიალის ნაწილი ვარ. მახსოვს გუშინდელი დღესავით, როგორ ვიღებდით პავილიონში პირველ და მეორე სერიას. ისიც მახსოვს, თუ როგორ გათოვდა ნოემბერში და ჩვენ ძალიან თხელ კაბებში ვიყავით ალმაშენებლის ქუჩაზე და ვიღებდით პირველ ქუდს. ყველაფერი მახსოვს ძალიან ტკბილად და ძალიან კარგად. კიდევ უფრო ბევრ წარმატებას ვუსურვებ აბსოლუტურად ყველას.

**ნინო გაჩეჩილაძე, კატოს როლის შემსრულებელი:**

– არ მჯერა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ „ჩემი ცოლის დაქალები" უკვე 12 წლისაა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მონაწილესა და თითოეულ მაყურებელს. ძალიან დიდი მადლობა ყველას.

**მაკა ძაგანია, თინას როლის შემსრულებელი:**

– 12 წელია ამას გეჩიჩინებით და მაინც ვერაფერი შეგაგნებინეთ რა, ეს დაბადების დღის აღნიშვნა ძალიან ინფანტილური საქციელი მგონია და მაინც გილოცავთ! მიყვარხართ ყველა!

**ქეთა ორბელაძე, ტასოს როლის შემსრულებელი:**

– გილოცავთ ყველას მეც და ჯეკოც. ამ შემთხვევაში ჯეკოს მაგივრადაც მე მოგილოცავთ.

**ბუბა მირცხულავა, ბაქარის როლის შემსრულებელი:**

– გილოცავთ 12 წლის იუბილეს. მე მაინც არ გიყურებთ და გინდა 12 წლის გახდით და გინდა 17-ის, გინდა 21-ის და გინდა 52-ის. სულ ერთია.

**შოთა ნოზაძე, თენგოს როლის შემსრულებელი:**

– დღესა მაგარი ამბავი არი მოკლედ. „ჩემი ცოლის დაქალებსა" დაბადების დღე აქ და გილოცავ „ჩცდ". მრავალს დაესწარი, ბევრი კარგი სერია გვაჩუქეი და დაუსრულებელი, რაც მთავარია.

**ილო ბეროშვილი, შავლეგოს როლის შემსრულებელი:**

– გილოცავთ „ჩემი ცოლის დაქალების" დაბადების დღეს. დაესწარით მრავალს და იყავით ბედნიერები.

## ევგენი მიქელაძის 120 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება



1937 წლის რეპრესიებს შეწირული ცნობილი დირიჟორის, ევგენი მიქელაძის 120 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება.

2 დეკემბერს თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში ევგენი მიქელაძის სახელობის ნიჭიერთა ათწლედის სასწავლების მოსწავლეები კონცერტს გამართავენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 2. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 3. პატარა სამხედრო ჰოსპიტალი; 4. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 8. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ძვირფასი ქსოვილი; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 16. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 17. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. აზრი, ჩანაფიქრი; 20. ესპანელი ფერმწერი.

**თარაზულად:** 5. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 6. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი; 9. ფულის ერთეული პანამაში; 10. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 11. ხილი, ნიუ იორკის სიმბოლო; 13. ძველი ქართული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. საჭმელი სოკო; 18. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 21. ნარკოტიკის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი მხიარული განწყობილება; 23. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

